№ 2785
ხუთშაბათი,
31 მარტი

ცნობის ფურცელი

№ 2785
ხუთშაბათი,
31 მარტი

ხელის მოწერის ფასი: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ., დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., დამატებით—5 კ. **ფასი განცხადებისა**: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კამპ. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 37.

ეფრემ და ლალი მიკირტუმოვები, კატარინე, შაქრო და ელენე ოგანეზოვები (თელაველები) დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, მეგობრებს და პატივის მცემლებს, პირველი— დაუფასებელ მეუღლის, მეორე—რძლის, მესამე და მეოთხე—საყვარელ ქალის და მეხუთე—დაუვიწყარი დის

მარიამ შაქროს ასულის მიკირტუმოვისას

მოულოდნელ სიკვდილ, რომელიც გარდაიცვალა ორშაბათს, მარტის 28-ში. პანაშვიდი გადახდილ იქნება პარასკევს, აპრილის 1-ში საღამოს 6 საათზე, გასვენება შაბათს აპრილის 2-ში დილის 10 საათზე თავის სახლიდან (ავლაბარში ლაგოდეხის ქ. № 8) კარმირ ავეტრანის ეკლესიაში, დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე. (1—140—1)

გრიგოლ დიმიტრის ძე სანიკიძე ამით აცნობებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ამა წლის 16 აპრილამდი დანიშნული იქნება პანაშვიდები ს. კლდეეთის (შორ. მაზ.) წმ. გიორგის ეკლესიაში, ხოლო წლის გავლამდი მღვიმევის დედათა მონასტერში,

ედუსი მათრაჯის ასულის სანიკიძის

სულის მოსახსენებლად. (1—1)

ქუთაისში
გახსნილია
იაფი ვაჭრობა
ყოველ გვარ საწერ და საკანცელარიო ნივთებისა
სავაჭრო სახლი **ი. გოკიელოვის შვილები**
(10—ნკ—5)

ძმ. ნიკიტინების ცირკი.

ხუთშაბათს, 31 მარტს, დიდი წარმოდგენა 3 განყოფილებად. სხვათა შორის საღამოს ასე 11 საათზე გაიმართება ორი **კავკასიური ჭიდაობა**. განგებ თიანეთიდან საჭიდაოდ ჩამოვიდა ცნობილი ფალავანი **გრიგოლ ზარიძე** და დაეჭიდება ცნობილ ფალავანს **ჟიბგირს**. გამარჯვებულს 25 მან. ზარიძე დღემდე არავის გაულახია. მეორე ჭიდაობა: ცნობილი ფალავანი **ვანო თარხანოვი** დაეჭიდება ფალავანს **ალექსი ოდიკაძეს**. გამარჯვებულს ვერცხლის საათი. დასასრულ კომიკური პანტომიმა. დასაწყისი საღამოს 8½ საათ. დაწვრილებით პროგრამაში. (1—1

სასტოლრო სახელოსნო
იოსებ მაჭავარიანისა
იღებს შემოკვეთას ყველანაირ ავეჯისას, ყველასათვის ხელმისაწვდენ ფასში. იქვე იყიდება დამზადებული წიგნების და ბუფეტის შკაფები და სასადილო სტოლები. ელისაბედის ქუჩა № 19. (10—6.—7)

ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობა
„კოლხიდა“-სთან
იყიდება: **ნერგები** დამყნილ ვაზისა, ხეხილისა, ბჟოლისა (თუთისა). **თესლეულობა—აბრეშუმისა** (თეთრი და ყვითელი), **ბამბისა, ბოსტნეულისა**, და სხვა. შაბიამანი, გოგირდი, სამეურნეო იარაღი და მანქანები. ქართული პრეისკურანტი უფასოდ. (10—6.—9)

საარტისტო საზოგადოების თეატრი
პარასკევს, 1 აპრილს, გაიმართება სომხურ ენაზე
კონცერტი
კომპოზიტორ-რეგენტის ირქიმანდრიტის მამა
კომიტასისა
ეჩმიაძინის სომეხ-გრიგორიანთა აკადემიის კაპელლას მონაწილეობით. ეს კაპელლა 60 კაცისაგან შესდგება.
დაწვრილებითი პროგრამმა გაიყიდება თეატრის შესავალში. **დასაწყისი საღამოს 8 ს.**
ბილეთები არავის არ დაეგზავნება, არამედ გაიყიდება თეატრის კასსაში დილით 10-დან 2-მდე, საღამოთი 6 საათ. (2—137—2)

ქ. ქუთაისში, პუშკინის ქუჩაზე, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „ფრანცია“, გაიხსნა პირველ ხარისხოვანი სასტუმრო
„გრანდ-ოტელი“
შუა ქალაქში, ფოსტის და ვაგზლის ახლოს. შენობა სრულიად გაახლებულია და ახლად მოწყობილი. ყოველივე მოწყობილება ახალია და საუკეთესო ღირსებისა, მშვენიერი რესტორანით, სალხინო კაბინეტით და სამკითხველოთი, საუკეთესო სამზარეულოთი სადაც მზადდება ევროპიული და ადგილობრივი საჭმელები გამოცდილ მზარეულის ზედამხედველობით. სასტუმრო განათებულია ელექტრონით. მსურველთ შეუძლიათ მოითხოვონ თბილი და ცივი ვანები და დუში. მოსამსახურეები ქალები და კაცები ცქვიტნი და ზრდილობიანნი. ნომრების ფასი ერთი მანეთიდან. ფასები ყველაფერზე ზომიერია. ყველგან და ყოველგვარად სისუფთავე და სიფაქიზეა. (15—ბკ—11)

ახლად გაიხსნა **ქ. ქუთაისში**, თბილისის ქუჩაზე ბარკაიას სახლში.
ივანოვის
რუსული მოსამზადებელი სასწავლებელი ვაჟებისათვის. (1—02378—1).

ქ. გორში, რუსის უბანში **იყიდება ორ-სართულიანი სახლი**, მოწყობილობით. ორ-მხრივ ქ. მსურველთ მიჰმართონ პატრონს: Ломанная ул. № 11. (4—138—1)

ტფილისში ტანისამოსის მკერავი
ი. ნ. სვანიძე.
მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მხწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა, მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—28)

ნამდვილი ცელულიარული
✦ **თესლი აბრეშუმისა** ✦
ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა
ა. პ. ზახარიადისა.
ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პახკალიდებისა** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსრველთ შეუძლიათ აგრეთვე ჩემგან მიიღონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—21)

ტფილისის
კერძო სამკურნალო
ჟურნალის დ. ა. გედევანიშვილისა
აკადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.
დილით:
გ. ი. ხიმშიაშვილი. კბილის 8—9 საათ.
გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.
ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—10½ ს.
ნ. ტ. მუღინი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.
ი. დ. ლაჟბაშაძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.
ძ. გ. მაჩაბელოვი. შინაგ. და ბავშვ. 12—1.
გ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.
1. ქალი მ. კ. იოსელიანი.—ქალისა და სამშ., სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.
კ. ნ. ღვინიაშვილი.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.
ს. ს. ალექსი-მესხიშვილი.—ხირურგია 1—2.
საღამოს:
ხ. ი. ჭავაძე.—შინაგ. 6—7 საათამდე.
ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე ქიმ-ხირურგებსაც.
ვანის რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., სააკადმყოფოსა აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ორის 2-დან სამ მანეთამდე. საზოგადო და ნომერი—5 მან.
ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. მიხეილის ქუჩიდან-კი 34 B.
ტელეფონი № 274.

ექიმი-ბებია
პ. ნ. დემიდოვი
ყოფილი ასისტენტი იურიევის (დერპტის) უნივერსიტეტის საბებიო-საგინეკოლოგო კლინიკისა, მიიღებს ავადმყოფებს საბებიო, ქალთა და ბავშვთა სნეულებისას ყოველ დღე, დილის 1-დან ნაშუადღევის 3 საათამდე. შემოწმება ძიძებისა და მოახლეებისა მხოლოდ კვირაობით 3-დან 4 საათზე. რეუტოვის ქ. № 22, ტელ. 313. (5—2)

ექიმი
ა. ნ. დიასამიძე
მიიღებს ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის სახლი ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—47)

ბავშვების ექიმი
ა. ი. ბალარჯიშვილი
კიევის უნივერსიტეტის ბავშვთა სნეულებათა კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს მხოლოდ 15 წ. ასაკამდე ყოველ დღე 11—12 წ.
მიხეილის პრ. № 115. ნემცების ეკკლესიის გვერდით ტელეფ. 729. (30—91—20)

ქ. ბათუმში
ექიმი ა. გ. მაღალაშვილი
იღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის.
ტფილისის და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში კომერციულ ბანკის სახლი. (60—403—45)

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან.

29 მარტი

პეტერბურგი. ჩვენ გვთხოვენ, მივაქციოთ პროვინციის პრესის ყურადღება სატახტო ქალაქების გაზეთების იმ სტატიებზე, რომელნიც ადმირალ სკრიდლოვს იცავენ. ამ სტატიებში ნათქვამია, სკრიდლოვი პეტერბურგში შეაჩერეს ძლიერ საყურადღებო საქმეების გამო, რომელნიც მას მინდობილი ჰქონდა, ეს პირველი; მეორე ისა, რომ, როცა პორტ-არტურის გზა მოსჭრეს იაპონელებმა, სკრიდლოვს ებრძანა ვლადივოსტოკს წასულიყო; ამასთან იმას ჩამოართვეს პორტ-არტურის ესკადრის მოქმედებით ხელმძღვანელობა ისე, რომ არც-კი მისცეს ნება საქმე დაეჭირა პირდაპირ ესკადრასთან; ვლადივოსტოკის კრეისერებს არ ჰქონიათ მიზნად გაჭრილიყვნენ პორტ-არტურისკენ; სკრიდლოვის საქმე იყო, თვალყური ედევნებინ იაპონელთ გზებისთვის და იქ ემოქმედნა. აი როგორ პირობებში იყო სკრიდლოვი და არ შეიძლება ვუსაყვედუროთ მას, რატომ თვითონ არ გაჰყვა ფლოტს, მით უფრო, რომ რაზმს საკუთარი უფროსი ჰყავდა.

ლონდონი, 29 მარტი. „დეილი მეილ“-ის კორესპონდენტის სიტყვით არავითარი ეჭვი არაა იმაში, რომ სინგაპურის ახლოს რუსის შვიდმა სამხედრო გემმა ჩაიარა. ტყუილია ის ცნობა, ვითომც ეს გემები ესკადრას ჩამოშორებოდნენ და სხვა გზით წასულიყვნენ. აქ არაა ცნობა რუსისა და იაპონიის ესკადრების შეტაკების შესახებ. დღეს დილით სინგაპურთან ჩაიარა ოთხმა დიდმა სანახშირე გემმა; ჰფიქრობენ, რომ ეს გემები იმ ფლოტილიას ეკუთვნიან, რომელიც „ჰამბურგ-ამერიკ“-ის კამპანიის 16 გემიდან შესდგება და რომელიც ეხლახან დაიქირავა რუსეთმაო.

30 მარტი

ტოკიო, 29 მარტი. ამბობენ, სანამ წვიმები დაიწყებოდნენ, დიდი შეტაკება მოხდებაო. ამბობენ, რომ რუსები ძლიერ მაშველ ჯარს გზავნიან გირინ-კიუჩენძის გზაზე, საცა ისინი ენერგიულ წინააღმდეგობას გაუწევენ მტერსაო.

პარიზი. სენატში საზღვაო ბიუჯეტის საკითხის განხილვის დროს სენატორმა დეტურნელმა წინააღმდეგობა განაცხადა ფლოტებისთვის საჭირო ხარჯის გადიდებაზე; ხარჯების შემცირება შეიძლება საერთაშორისო რეგლამენტაციის საშუალებით, ისე, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირიც ხელუხლებელი დარჩება. ინგლისის ამ მხრივ დაცვის შესახებ შეთანხმებით ყველა სახელმწიფოები დარჩებოდნენ კმაყოფილნი, განსაკუთრებით რუსეთი და იაპონია. ეს შეთანხმება ყველას დაუმტკიცებდა, რომ საფრანგეთ-რუსეთის კავშირი არავისთვის არაა საშიში. დეტურნელმა დასძინა, რუსეთი და იაპონია დაინტერესებული არიან ზავის ჩამოგდებაში და უკეთუ იქნება, ევროპას დიდძალი ფლოტი შევანახვინოთ შორეულ აღმოსავლეთში ფლოტებისთვის საერთოდ ხარჯების გადიდებით მარტო იმისთვის, რომ იაპონია შეჩერებულ იქნას. დეტურნელმა შემდეგის სიტყვებით დაასრულა ლაპარაკი: „საფრანგეთ-გერმანიის შერიგება, რომელიც დღეს შეუძლებლად მიაჩნიათ, ხვალ უტოპია აღარ იქნება“-ო.

ჰელსინგფორსი. ერობათა წევრებმა ერთხმად გადასწყვიტეს, წარადგინონ, სადაც ჯერ არს, თავიანთი მოხსენება საშუალო სასწავლებლებში რუსულ ენის სწავლების რეფორმის შესახებ. მათი აზრი ასეთია: რუსულ ენას იგივე ადგილი უნდა ეჭიროს, როგორიც 1901 წლამდე ეჭირა, ან არსებულ 40 გაკვეთილის მაგიერ კლასიკურ ლიცეებში სულ 20 გაკვეთილი და ისიც იმ პირობით, რომ ნება ეძლეოდეთ მსურველთ რუსული ენის მაგიერ ბერძნული ისწავლონ; ქალთა იმ სასწავლებლებში, რომელნიც 1903 და 1904 წლებში არიან დაარსებული, რუსულ ენის 24 სავალდებულო გაკვეთილის შემცირება საჭიროა რვა გაკვეთილამდე იმ პირობით, რომ მსურველებს შეეძლოთ ეს გაკვეთილები ფრანგულზე და ნემეცურზე შესცვალონ. როცა კერძო სასწავლებლებს სუბსიდიას აძლევენ, არ უნდა ახელმძღვანელოს მთავრობამ იმით, თუ რამდენია იქ რუსულ ენის გაკვეთილები. სეიმში გამართულ გრძელ კამათების დროს ბევრი საყვედური გამოითქვა იმ რეფორმების წინააღმდეგ, რომელნიც გენ.-გუბერნატორმა ბობრიკოვმა შემოიღო ფინლიანდიაში რუსულ ენის სწავლების შესახებ. ასეთი აზრებიც გამოითქვა, რომ სამოსწავლო დაწესებულებას მთავარ სამმართველოს რუსულ ენის ინსპექტორს შეუძლიან დაესწროს მხოლოდ იმ საქმეების გარჩევას, რომელნიც რუსულ ენას შეეხებიანო. აგრეთვე ამ ინსპექტორს არ უნდა ჰქონდეს ისეთივე უფლებები, როგორიც სხვა ინსპექტორს აქვს; რუსულ ენის ინსპექტორთა რიცხვი უნდა შემცირდეს, ნორმალურ ლიცეებში ახალ დაწესებული უფროს მასწავლებელთა თანამდებობა არაა საჭირო. ერთი სიტყვით, რუსულ ენის სწავლება იმავე კალაპოტში უნდა ჩადგეს, რა კალაპოტშიც რეფორმებამდე იყოო.

ბომბეი. მიწის ძვრის შესახებ კიდევ შემდეგი ცნობებია: ფორტ ბილბიუ დაინგრა და ხანი აირეულია, ბიძა მისი და ხუთი ძმისწულები ჩამარხნენ ნანგრევებს ქვეშ.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

29 მარტი.

მანილლა. საიგონიდან მოსულ გერმანიის გემ „სტრუვე“-ს დაუნახავს 27 მარტს ჩინეთში ზღვაში იაპონელთ ორი კრეისერი, რომელნიც სინგაპურისაკენ მიდიოდნენ.

ჩანჩაძი. 22 მარტს ბრძოლის შემდეგ გამოირკვა, რომ ცინციატუნი დაუჭერია, ცხენოსანთა ბრიგადას, ქვეითების ერთ ბატალიონს და 6000 ხუნხუზს. ბრძოლა 12 საათი გაგრძელდა. მტერს დიდი ზარალი მოუვიდა. ჩვენმა ქვეითა რაზმა 24 მარტს დაიჭირა სოფელი გუიუშუ და გასწია მინხულაისკენ. იაპონელებმა ფიცხლავ დაიხიეს უკან.

ვაშინგტონი. აზიის ესკადრის სარდალმა მოხსენება გამოუგზავნა საზღვაო დეპარტამენტს, რომ კრეისერი „რალეი“ ნაღმოსანთა და კონტრ-ნაღმოსნებთან ერთად გაიგზავნენ პალავანში, რათა იქ დაიცონ ამერიკის ნეიტრალიტეტიო. აქ ამბობენ, რომ მებრძოლ მხარეების სამხედრო გემებს არ მისცემენ ნებას ისარგებლონ საზღვაო ოპერაციებისთვის ფილიპინის კუნძულებითო.

სინგაპური, 24 მარტი. „ლლოიდ“-ის ცნობით, გუშინ აღმოსავლეთისკენ 4 გემს ჩაუვლია; ჰფიქრობენ, სანახშირე გემები იქნებოდნენო.

ჰააგა, 29 მარტი. აქ ცნობა მოვიდა, რუსეთის ესკადრა 10 მილის მანძილზე იდგა ჩრდილო-დასავლეთით ანამბის კუნძულებიდანაო. იქითკენ გაიგზავნა ჰოლანდიის ესკადრა, რომელმაც ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვას.

პარიზი, 29 მარტი. (ჰავასი). „ეკლერ“-მა გამოაქვეყნა ნაწყვეტები, იაპონიის ჯაშუშის წიგნიდან ამოწერილი; ეს ჯაშუში ლიბავაში სცხოვრებდა თურმე სომეხ ვაჭრის სახელით და თვალ-ყურს ადევნებდა როჟესტვენსკის. ნაწყვეტებიდან სჩანს, რომ ჯაშუში ურჩევდა ტოგოს, წასულიყო ფელკერზამის ესკადრის შესახვედრათ, სანამ ის როჟესტვენსკის შეუერთდებაო. მაგრამ იაპონიის მთავრობამ ამაზე უარი განაცხადა, რადგანაც ფლოტს ასწორებდნენ. ჯაშუშის აზრით, როჟესტვენსკი ვლადივოსტოკს არ მიდის, არამედ ჰფიქრობს შეჩერდეს კუნძულ ცელებესთან და ხელი შეუშალოს იაპონიას ევროპის, აზიის და ამერიკის გზებზე.

ვაშინგტონი, 29 მარტი. ამერიკის ტოკიოელი ელჩი იუწყება ტელეგრაფით, ნავთ-სადგური კიდუნგი დახურულია უცხოეთის გემებისთვისო.

ტოკიო, 28 მარტი. (რეიტერი). რადგანაც რუსები ჰფიქრობენ, რეორგანიზაცია მოახდინონ მანჯურიაში მყოფ რუსის ჯარებში, ამიტომ იაპონიის სამხედრო დაწესებულება ღონისძიებას ხმარობს, რათა თვის მომქმედი ჯარები გაიაროს და ზოგან კიდევ გაასამოს. სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ იაპონელთ რიცხვი რუსებისას გადააჭარბებსო. იაპონიას საკმაო ძალა ექნება ხარბინის დასაჭერათ. იგი ერთ და იმავე დროს ხარბინსაც შეიჩენს და აღმოსავლეთში ოპერაციებსაც არ შესწყვეტსო.

პეკინი. რადგანაც გამოირკვა, რომ 13 მარტს ხაილუჩენთან ჩინელები დასცემიან აფიცერთა რაზმს და თვითონ დაჭრილი ჩინელი სალდათიც გამოტყდა, მე და ჩემი ამხანაგები მონაწილენი ვართ ამ დაცემაშიო, ამიტომ რუსეთის ელჩმა მიწერილობა გაუგზავნა პრინც ცინს, ამგვარი შემთხვევების წინააღმდეგ სასტიკი ზომები უნდა მიიღოს ჩინეთის სამხედრო უწყებამაო.

ბერლინი, 28 მარტი. პარიზიდან სენსაციონური ცნობა სთვიდა, ვითომ იმპერატორ ფრანც იოსებს განზრახვა აქვს უარი განაცხადოს სამეფო ტახტზე. მან, ავსტრიის ელჩთან მუსაიფის შემდეგ, გამართა საოჯახო თათბირი ამ საკითხის გადასაწყვეტათ. „ბერლ. ტაგებ.“-ს აუწყებენ რომიდან, ნეაპოლში გამართულ ნადიმის შემდეგ იმპერატორი ვილჰელმი და იტალიის მეფე ტელეგრაფით მიესალმნენ ავსტრიის იმპერატორს, რომელმაც გულითადი სალამი გამოუგზავნა მათ.

ნოვოროსიისკი. აქ დასრულდა მრეწველთა კრება, რომელსაც მიზნად ჰქონდა მუშათა ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელ ზომების გამონახვა. კრებამ საჭიროდ სცნო, დაწესდეს მუშების სახელმწიფო ხარჯზე დაზღვევა, რომელსაც გერმანულ დაზღვევის პრინციპი უნდა დაედოს საფუძვლად, ჩქარა მოეწყოს გაფიცულებთან სასტიკ ღონისძიებათა მიუხმარებლად, შემოღებულ იქნას შეკრების თავისუფლება, დაწესებულ იქნას ამორჩევითი ორგანიზაცია, დაარსდეს ცენტრალური კასა ადგილობრივ ქარხანათა ურთიერთ დახმარებისთვის და შემცირდეს უქმე დღეები 10%-ით.

ვილნო, 29 მარტი. უცნობ ქალის ბინაზე ქალაქის განაპირას აღმოაჩინეს არა ლეგალურ გამოცემათა საწყობი, სტამბის კუთვნილებანი და აფეთქებული იარაღი. ქალი დააპატიმრეს.

პეტერბურგი, 29 მარტი. მეცნიერებათა აკადემიამ ის აზრი გამოსთქვა, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს არსებული გამსაზღვრელი ზომები მალორუსთა ენისა და ბეჭდვით სიტყვის შესახებ. აკადემიის ამგვარი აზრი პასუხია სახალხო განათლების მინისტრის შეკითხვისა ამ საგნის შესახებ.

ლაგორი. მიწის ძვრიდან პალამპურის ოლქში სამი ათასი კაცი დაიღუპა, კანგრის ოლქში კი—ათი ათასი.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსის ფლოტი ზონდის არხიპელაგში. 30 მარტის დილამდე დეპეშებმა მეტად ცოტა ცნობა მოიტანეს რუსისა და იაპონიის ფლოტის მოქმედებაზე. სჩანს მხოლოდ, რომ რუსის ფლოტს მალაკის სრუტე გაუვლია და ზონდის არხიპელაგში შესულა. რუსის ჯავშნიან გემებს ცალკე უვლიათ. იაპონიის მსუბუქ კრეისერების რაზმიც ამავ არხიპელაგშია და რუსის ესკადრას თვალს ადევნებს. სად დგას იაპონიის უმთავრესი ფლოტი, ამაზე არავითარი ცნობა არ მოდის. ჰფიქრობენ, რუსის ფლოტი საფრანგეთის პორტ საიგონში წავა გემების შესაკეთებლად, მაგრამ იაპონელები არ გაუშვებენ და გზაში შეებრძოლებიანო. ზოგი ჰფიქრობს, იქნება, ადმ. როჟესტვენსკის ფლოტი სადმე ჰოლანდიის პორტს ახლო შედგესო. თუმცა ელიან, საცაა ბრძოლა მოხდებაო, მაგრამ ბევრნი ჰფიქრობენ, ადმირალი ტოგო იაპონიის ახლო შეებრძოლება ადმ. როჟესტვენსკის ესკადრასაო.

ლონდონიდან იუწყებიან, აქ ცნობა არ მიუღიათ რუსეთისა და იაპონიის ესკადრების შეტაკებაზეო. ამ დეპეშის წამკითხველი ძალა უნებურად გაიფიქრებს, ალბად, ასეთი ცნობა სხვაგან მისულა სადმეო.

ადმ. მაკაროვის დაღუპვის წლის თავი. დღევანდელი დღე სამუდამოთ უბედურად მოსაგონებელი იქნება რუსის ფლოტისათვის. შარშან, 31 მარტს პორტ-არტურთან ჯავშნიანი გემი „პეტროპავლოვსკი“ ჩაიძირა და თან ჩაიტანა ნიჭიერი ადმირალი მაკაროვი და მთელი იმისი შტაბი...

30 მარტს ღამით იაპონელმა კაპიტანმა ოდამ ნაღმები ჩააწყო პორტ-არტურის რეიდზე, ოქროს გორის ახლო, იქ, სადაც რუსის ესკადრა დგებოდა ხოლმე. გათენების ხანს იაპონიის ნაღმიანმა გემებმა რუსის ნაღმიანი გემი „სტრაშნი“ ჩაძირეს. „სტრაშნი“-ს რუსის კრეისერი „ბაიანი“ მიეშველა, იაპონიის ნაღმიან გემებს კონტრ-ადმირალი დევა სწრაფლ მავალ კრეისერების რაზმით. ადმ. დევა განგებ ახლო მივიდა და პორტ-არტურის წინ დადგა. ადმ. მაკაროვმა იწყინა იაპონელ ადმირალის კადნიერება, ზღვაში გავიდა და დევას სუმბუქ კრეისერებს დაეცა. დევას ხელად ადმ. ტოგო მიეშველა, მაკაროვი უკან გაქანდა და სწორედ იქ დადგა, სადაც კაპიტანმა ოდამ ღამით ნაღმები ჩააწყო...

დიდი ზარალი მოუვიდა რუსის ფლოტს შარშან, 31 მარტს, და რუსეთის მთავრობამ მაშინვე გადაწყვიტა ადმ. როჟესტვენსკის ესკადრის გაგზავნა. რუსის ესკადრა სწორედ წლის თავზედ ჩავიდა შორეულ აღმოსავლეთს. იუწყებიან, ადმ. როჟესტვენსკისაც იგივე კონტრ-ადმირალი დევა იმავ სწრაფლ-მავალ კრეისერებით მიეძღვის წინაო.

რუსეთის მეოთხე ესკადრა. უცხოეთის გაზეთებს იტყობინებენ პეტერბურგიდან: რუსეთის მეოთხე ესკადრა აპრილში გაიგზავნება შორეულ-აღმოსავლეთსაო. ამ ესკადრის უფროსად ან. ადმ. დუბასოვი დაინიშნება, ან შავის ზღვის ფლოტის უფროსი ვიცე-ადმირალი ჩუხნინიო. („ნ. დ.“).

შუა მანჯურიაში გოძიაძიდან 28 მარტის თარიღით იუწყებიან: იაპონელების რაზმი გირინის გზაზე შენიშნეს; სიცივეაო. სიტიაზიდან იუწყებიან: მეორე დღეა ქარიშხალია. ამაზე მეტი სხვა ცნობა არა მოსულა-რა ომის ასპარეზიდან.

ფრანგულ გაზეთების სამხედრო მიმომხილველები უჩივიან გენ. ლინევიჩს, არავითარ ცნობას არა ჰგზავნისო. მას აქეთ, რაც ახალი მთავარ-სარდალი დანიშნეს, თითქმის მოისპო ოფიციალურ ცნობების გზავნა მანჯურიიდანაო. მართალია გენ. ლინევიჩი ხანდახან გამოჰგზავნის ხოლმე მოკლე დეპეშებს, მაგრამ ვაი იმ გამოგზავნას! იმ სიშორიდან გამოგზავნილი დეპეშები შეუდარებელია და მეტად სასაცილოა თავის უშინაარსობითა და უსარგებლობით. არავითარი ცვლილება არ მომხდარა არმიაშიო,—სწერია ერთ დეპეშაში; დიდი თოვლი მოვიდა, ქარი არა ჰქრისო—იუწყება მეორე დეპეშა. თოვლი მოვიდა, ქარი არა ჰქრის—ეს ხომ მთელი პოემაა! რუსის ხალხი, შავის ბედისაგან გულდაწყვეტილი, მოუთმენლად ელის მცირე გამარჯვების, ან გმირულ მოქმედების ამბავს მაინც; ამის მაგივრად-კი ატყობინებენ, მანჯურიაში ქარი არა ჰქრისო“. („ნ. დ.“).

„მატენ“-ის კორესპონდენტი უჩივის ლინევიჩს, კორესპონდენტები შეავიწროვაო და თან უმატებს: რასაკვირველია, ეს უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე გენ. კუროკის არმიასთან ბრძოლაო.

იაპონელ კავალერისტების მოქმედება. გენ. კუროკის მთავარ-სადგომიდან ატყობინებენ „რეიტერის სააგენტოს“: ეს არის ეხლა იაპონიის კავალერიის ორი რაზმი დაბრუნდა ჩრდილოეთიდან. ეს რაზმები ჯერ კიდევ იანვრის დამდეგს გაჰზავნეს ჩრდილოეთისაკენ მტრის დასაზვერად. თითო რაზმში 150 კაცი იყო. გაბედულმა მზვერავებმა რუსის პოზიციები დაზვერეს მუკდენის დასავლეთით, გენ. მიშჩენკოს რაზმის წრე გაარღვიეს, ჩრდილოეთისაკენ გაემართნენ, რამდენჯერმე გადიარეს რკინის გზაზე და მუკდენის ბრძოლის დროს ტელეგრაფის მავთულსა სწყვეტდნენ და რკინის გზის ლიანდაგს ანგრევდნენ. ბოლოს იაპონელმა კავალერისტებმა გირინი და იმისი მიდამოები დაათვალიერეს და უკან დაბრუნდნენ. („რ. ს.“).

რუსების ზარალი მუკდენთან. „რუსკია ვედომოსტი“-ს კორესპონდენტი იუწყება: ხმა დადის, რუსებს მუკდენში 50 მილიონის სხვა-და-სხვა საწყობი დაღუპათო. ტელინსა და ხარბინში უფრო დიდი საწყობები აქვთ გამართულიო.

ხარბინში. 19 მარტს ხარბინში რკინის გზის დიდი შენობა დაიწვა. ეს შენობა წითელ ჯვრის რაზმებისათვის იყო დანიშნული. („ნ. ვ.“).

მუკდენიდან ინკოუმდე. როგორც ვიცით, მუკდენში ბევრი რუსის ექიმი და სანიტარი დარჩა, ზოგი ამათგანი რუსის არმიაში დაბრუნდა, ზოგი ინკოუს გზით რუსეთში წამოვიდა. ერთი ექიმი შანხაიდან დეპეშით ატყობინებს „რუსკოე სლოვო“-ს: „როცა იაპონელმა ექიმებმა ყველა ჩვენი დაჭრილი მიიღეს, ჩვენ რკინის გზით ინკოუში წამოგვიყვანეს. იაპონიის არმია მძლავრია და მშვენივრად ჩაცმული; ისე მეჩვენა, რომ ომიც უნდა ეადვილებოდეთ იაპონელებს. არმიის შინაგანი ორგანიზაცია იდეალურია, ქარავანი (ფურგუნები, ურმები) სუმბუქი და მეტად სწრაფად მოსიარულე აქვთ; რკინის გზა არ დაუვიწყებიათ, მატარებელთა მოძრაობა წესიერია, გზაში ხშირად გვხდებოდა დიდი ქარავნები. იაპონელებისაგან დაჭერილი მანჯურიის ნაწილი სულაც არ გვეჩვენა გაღატაკებულ ქვეყნად, რამდენიც მუკდენიდან შორს მივდიოდით, იმდენი ნაკლება ვგრძნობდით ომის გავლენასა; ჩინელები მშვიდობიანად მუშაობდნენ თავიანთ მინდვრებში.

რამდენი გემი დაიჭირეს იაპონელებმა? ტოკიოდან „მატენ“-ს დეპეშით ატყობინებენ: ომის დაწყებიდან დღემდე იაპონელებმა პორტ-არტურისა და ვლადივოსტოკის გზაზე 41 გემი დაიჭირეს კონტრაბანდითაო. („რ. ს.“).

რუსის დეზერტირები. „ფრანკფურტერ ცაიტუნგ“-ი იუწყება, ომის დაწყების აქეთ ავსტრიის საზღვარზე რუსეთიდან 37 ათასი ჯარის-კაცი გაიქცაო. ბროდში ამ ჟამად 600 გაქცეული ჯარის-კაცი იმყოფებაო. („რ. ს.“).

თავად-აზნაურობის საგანგებო კრების საყურადღებოდ

თავადი ევგენი ტრუბეცკოი სწერდა „სინ ოტეჩესტვა“-ში—როცა რუსეთის ხალხის წარმომადგენლები შეიკრიბებიან, რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ხალხები წარმოგვიდგენენ მხოლოდ სამართლიან მოთხოვნას—ავტონომიას განსაზღვრულ ტერიტორიაზე და ჩვენც უნდა დავაკმაყოფილოთ ეს მოთხოვნაო.

ამას სწერს რუსი, მერე ისეთი, რომელსაც რომელიმე უკიდურესს მიმართულებასთან საერთო არა აქვს რა. ერის თვით-მმართველობა, ავტონომია დღეს რუსეთის საზოგადოების საუკეთესო ნაწილს სულ უბრალო, ელემენტარულ სამართლიანობად მიუჩნევია და საჯაროდ აცხადებს ამას და არც შეიძლება სხვა გვარად ყოფილიყო.

რა მოუტანა რუსეთს აქამდე გამეფებულმა სისტემატიურმა დევნამ არა-რუს ხალხებისამ?

გარუსება უნდოდათ, ვერავინაც ვერ გაარუსეს და ის კი მოახერხეს, რომ ნაციონალისტური გრძნობა გაძლიერეს და გაამწვავეს, ხალხის კეთილ-დღეობას ძირი გამოუთხარეს და ზოგი განზრახ და ზოგიც იმიტომ, რომ გარუსების პოლიტიკას უნდებოდნენ, სხვა საქმისთვის არ ეცალათ ან თავს არ იტკიებდნენ...

რუსეთი რუსებისათვისო, გაიძახიან რუსის პატრიოტები. მაგრამ „რათ უნდა რუსებს, რომ არა-რუსმა დაჰკარგოს თავის კულტურა, თავის უფლებანი? რას იზარალებს რუსეთი, თუ, მაგალითად, პოლონელი პოლონურად ისწავლის, პოლონურად გასამართლდება, ადგილობრივ საქმეებს ურუს-მოხელეებოდ თვითონ პოლონელებივე გაუძღვებიან?..“

რასაკვირველია, არაფერს, თუ ვინმე იზარალებს, ისევ მხოლოდ რუსის მოხელეები, რომელთაც გასავალი აღარ ექნებათ. თუ განაპირა ქვეყნებს თვით-მმართველობა მიენიჭებათ, მთელი ჯარი „ჩინოვნიკებისა“, რომელნიც დღეს ჩვენით სცხოვრობენ, გარიყულნი დარჩებიან. აკი ამიტომაც არის, ეს ჩინოვნიკები ვერ ურიგდებიან განაპირა ქვეყნების განთავისუფლებას, მათთვის თვით-მართველობის მინიჭებას. რუსეთის იმპერია დაიღუპება, დანაწილდება, განაპირა ქვეყნები ჩამოგვშორდება და ჩვენ მტრებს მიემხრობიანო, გაიძახიან ვითომდა მამულის შვილურ გრძნობით გატაცებულნი, ნამდვილად-კი მხოლოდ იმიტომ ბრაზობენ, რომ ფეხქვეშ ნიადაგის გამოცლის ეშინიათ. თორემ განა თვითონაც არ იციან, რომ დევნა ჰქმნის ნამდვილ სეპარატისტულ მიმართულებას დევნილებ შორის?

ინტერესი ცალკე ერისა, ინტერესი მთელის სახელმწიფოსი თხოულობს ეროვნულ თვით-მმართველობას, ავტონომიას. ეს დღეს ჩვენშიაც ბევრმა შეიგნო და ამ შეგნებას უნდა მიეწეროს კახეთის თავად-აზნაურობის კერძო კრების დადგენილება—ჩვენის ქვეყნის მართვა-გამგეობას საფუძვლად ავტონომიური პრინციპი უნდა დაედვასო.

სრული იმედია, რომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის საგანგებო კრებაც მიიღებს ამ აზრს; წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი შეიქმნება არა თუ ჩვენის ხალხის, მთელ კავკასიელების სურვილის წინააღმდეგი და ამგვარი განცალკევება თავად-აზნაურობას კიდევ უფრო უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს.

მაგრამ ვის შეუძლია ჩვენთვის სასურველ თვით-მმართველობის მინიჭება?

რასაკვირველია, არა იმ ბიუროკრატიას, რომელიც მხოლოდ ეხლა არსებულ მართვა-გამგეობის წყალობით სცოცხლობს. ამიტომ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრება უნდა შეუერთდეს მთელ რუსეთის მოთხოვნას—დაუყოვნებლივ მოწვეულ იქმნას დამფუძნებელი კრება საყოველთაო პირდაპირ, ფარულ და ყველასათვის თანასწორ საარჩევნო უფლებაზე დამყარებული.

მხოლოდ განახლებულ რუსეთს შეუძლია შეურიგდეს ნაციონალურ გაბატონების დაკარგვას და იმ აზრს, რომ განახლების გზაზე დამდგარ ერებს ესაჭიროება თავისუფლება და თვით-მმართველობა და არა ჯარი და ბიუროკრატია.

პირველი საკითხი, რომელიც უნდა გადასწყვიტოს თავად-აზნაურობის საგანგებო კრებამ, ეს არის.

სოფლად

ზემო ქართლი. ყველამ უკვე ვიცით, რომ ზემო ქართლიც ამოძრავდა და ბანი მისცა კავკასიის სხვა კუთხეების მოძრაობას, მაგრამ ზემო ქართლის მოძრაობა უფრო მშვიდი, გონივრული და უშიშარია, ვიდრე სხვა კუთხეებისა. როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ბევრგან გავრცელებულია: დაწვა, დანგრევა, კაცის კვლა, ტყის გაჩეხვა და სხვ... ჩვენსკენ კი ასეთი თითქმის არა მომხდარა და ზემო ქართლის გლეხობა ჩვეულებრივ დინჯად და მოფიქრებით იქცევა, მხოლოდ იმ მებატონეთ, რომელნიც ხალხის მოთხოვნილებას ცოტად თუ ბევრად არ აკმაყოფილებენ, მოსამსახურეს არ უყენებენ, არც არავინ მათთან ამუშავებენ და ამით შევიწროებულნი მებატონენი ტფილისისაკენ მიეშურებიან.

ზემო ქართლის სოფლის ყველა გლეხობამ ადმინისტრაციასთან კავშირი შესწყვიტა და არაფრის გულისათვის მასთან საჩივლელად აღარ მიდის, თვით სოფელშივე ასამართლებენ თავიანთ შიერვე ამორჩეულ კაცებით. თუ ამოძრავებამდე ზემო ქართლში ყველანაირი ბოროტება: კაცის კვლა, გადაწვა, ყტის გაჩეხა, ქურდობა და სხვა ბევრი რამ ხდებოდა, დღეს თითქმის მოსპობილია და თუ ასეთი მოხდა რამე, მაშინვე ამორჩეული პირები ასამართლებენ და სასამართლოებში წინად თუ სამი და ოთხი წელიწადი უნდა ერბინათ მოჩივან-მოპასუხეს და ბოლოს არც არა გამოსულიყო-რა, დღეს ორ-სამ დღეში ათავებენ და საქმეც რიგიანად თავდება. არ იქნება ურიგო, რომ გავაცნოთ მკითხველს ამორჩეულ კაცების ზოგიერთი სამართალი სხვა-და-სხვა ნაირ დანაშაულობისა: 1. საბატონო თუ სახელმწიფო ტყეში ნედლ შეშის მოჭრა აკრძალულია სასტიკად, ახლა უფრო მიტომ, რომ ყარაულებიც აღარ არიან, პატიოსნება მოითხოვს, უფრო კარგად შევინახოთო, ამბობენ ზემო ქართლელები; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ალელმა სამმა გლეხმა მაინც მოსჭრა ნედლი შეშა და წაიღო თითო ურემი. ეს, რასაკვირველია, გაიგეს ამორჩეულმა კაცებმა, დაიბარეს კვირა დღეს, ჩააყენეს სახალხოთ და მთელმა ხალხმა ერთპირად თითო-თითოდ შეაფურთხა, ის მოტანილი ხეებიც ჩამოართვა და სასოფლო ხიდს მოახმარა. 2. სოფელს ელდის წყაროში ერთს უდანაშაულო გლეხს, წინანდელ სიძულვილით, ორმა გლეხმა, მამაშვილმა, კეტით თავი გაუტეხა. ამავე სოფლის ამორჩეულმა გლეხებმა გაასამართლეს იმავე კვირა დღეს ეკკლესიასთან თავ-მოყრილ ხალხის თანდასწრებით და მიუსაჯეს: სამი მანეთი თავ-გატეხილის სასარგებლოთ და წყლის და ეკკლესიის გზის ქვა-ლოდებისაგან გაწმენდა—გასუფთავება. 3. ს. ბრილში ერთს გლეხს ქურდობა შეამჩნიეს. ამორჩეულმა კაცებმა ამ დამნაშავეს მკვდარი კატა აჰკიდეს ზურგზე და კარი-კარ ჩამოატარებინეს ბოდიშის მოსახდელად. 4. ს. ატოცის საზოგადოების ერთ პატარა სოფელში ისეთ დამნაშავეს, რომელსაც სასამართლო ორ წელიწადს მაინც გაუჭიანურებდა, ამორჩეულმა კაცებმა ნახევარ სათის თათბირით გაათავეს საქმე. ჯერ ჯერობით ასეთის სისწრაფით ასამართლებენ დამნაშავეს და ბევრიც ფთხილობს არა შეემთხვეს-რა.

ს—გი.

—

დ. ოჩამჩირე (აფხაზეთი). 18 მარტს ოჩამჩირეს მახლობლად მოხდა კრება. დაესწრო დიდ-ძალი ხალხი, წარმოითქვა მრავალი სიტყვა, ამასთან ისეთი, როგორიც აქეთ წინად არასოდეს არ გაუგონიათ. ამბობენ, ასეთი კრებები ეხლა აქეთ ხშირიაო.

—

ქარელი (ქართლი). 28 მარტს აქ მოვიდა ერთი როტა სალდათი. ამ როტის გარდა აქ არის 30 ყაზახი-რუსი.

—

სამეგრელო. საზოგადო მოძრაობას მეგრელებმაც მისცეს ბანი. საზოგადო ყიჟინამ თავისებური გამოხმობა საქართველოს ამ კუთხეშიაც გამოიწვია. ყველა, დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი, დღეს მშვენივრად მიხვდა, რომ ძველს პირობებში ცხოვრება შეუძლია და რადგან ჩვენის ტკივილებისთვის არავინ ზრუნავს, საჭიროა ჩვენ თვითონ მოვუაროთ ჩვენს თავსო, ხალხმა ფაქტიურად უარჰყო ყველაფერი ძველი, დასწვეს სასამართლოები და დაიხურა აქა-იქ სკოლები. ხალხი თვითონ ირჩევს საქმეების გასარჩევად თავისიანებს და იმათ ანდობს რომელიმე სადავო საქმის მოწეს-რიგებას... აღსანიშნავია, რომ თავისიანების-მიერ საქმის გადაწყვეტით თითქმის ყველა კმაყოფილია. გლეხი დარწმუნებულია, რომ ასეთი მყუდროება დიდხანს გასტანს და ერთნაირად კმაყოფილია და ლოცავს ასეთის ცხოვრების დამყარების მიზეზს. მეორე ნაწილს საზოგადოებისას უკეთესად ესმის, რომ მისი ცხოვრება სრულიადაც არაა ადამიანური და გულის ტოკვით ელის „გაზაფხულის“ დადგომას. რადგან დროებით თავის მოვლა ხალხმა იკისრა—ქურდობაც საშინლად შემცირდა. უწინ დღეები—კვირეები არ გავიდოდა ისე, რომ აქა-იქ ვინმეს არ დასცემოდნენ, ხშირად მკვლელობაც ხდებოდა. დღეს ეს თითქმის სრულიადაც არ არის. ერთი შემთხვევა იყო ამ მოკლე ხანში ქურდობისა. ქურდს სოფლელებმა მაშინვე მიაგნეს, შეიპყრეს, ხელში ნაპარავი საქონელი დააჭერინეს და „მე მივიპარეო“ ძახილით პატრონისთვის მიაყვანინეს. ხალხმა სხვა-და-სხვა მავნე ჩვეულებებიც მოსპო, მაგ., ტირილის დროს გარდასაბურავი, ზარი და სხვა. პ. კ—ია.

—

სოფ. მერეთი (ქართლი). 27 მარტს ამოვიდა მეჯვრისხევის ბოქაული ჩაფრებით და ასის ყაზახით და საიდუმლოდ მოსთხოვა მერეთის აზნაურებს, დაესახელებინათ მოძრაობის მოთავენი, რათა იგინი დაეტუსაღებინათ. ფურცელაძიანთ ეს მოთხოვნილება არ აუსრულეს ბოქაულს და უთხრეს, რომ ჩვენ თითონ დავაკმაყოფილებთ ზოგიერთ ამათ მოთხოვნილებას; ამით ვეცდებით, რომ დავამშვიდოთო და სთხოვეს ბოქაულს ესიამოვნება აეცილებინა თავიდან, ყაზახები არ ჩაეყენებინა სოფელში და ამითი უმისოდაც გასაწყლებული ხალხი არ დაეზარალებინათ და არ შეეწუხებინათ. ეს თხოვნა აზნაურებისა ბოქაულს დაუკმაყოფილებია. მერეთიდან ბოქაული ყაზახებით წავიდა სოფ. სათიხარში და იქ ოთხი მოთავე დაეტუსაღებინა, სამი დოლუზაშვილები და ერთი დუდაშვილი.

—

გლეხთა მოძრაობის გამო ტფილისის მაზრის სართიჭალის საბოქაულოში ხელახლა წავიდა ტფილისის მაზრის უფროსი თავ. ჯანდიერი.

სკოლა, ქართველები და ქართული ენა.

ცოტა რამ ერთის სასწავლებლის ცხოვრებიდან

ამოძრავდა ჩვენი მოსწავლე ახალთაობაც, ახალ სიოს მიერ გამოღვიძებული, და გამოუცხადა მედგარი უკმაყოფილება და წინააღმდეგობა სწავლა-აღზრდის სულის და გულის შემხუთავს ნაკლულევანებათ. ეს გარემოება ფრიად-საგულისხმოა: იგი გვანუგეშებს და გვეუბნება, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი სვე-ბედი საიმედო თაობის ხელში იქნება. მით უფრო სანუგეშოა ქართველ ახალთაობის გამოღვიძება, მის მიერ სწავლა-აღზრდის არა სასურველ მხარეების გათვალისწინება, რომ ვაჟებს გვერდში ამოუდგნენ, მხარი მისცეს მოსწავლე ქალებმაც.

ერთს ჩვენებურს საქალო სასწავლებელში, რომელიც კარგა ხანია არსებობს,—ბევრი ქართველი ქალი სწავლობს. ამ სასწავლებლის ცხოვრება დღემდის არაფრით არ იყო შესანიშნავი... მისი არსებობა არც კი არავინ იცოდა, იმათ გარდა, ვინც იქ მსახურებდნენ ან სწავლობდნენ. ამ სასწავლებელში ფარფაშობდა ერთი უფროსი ქალი, რომელსაც რიგიანი შინაური განათლებაც კი არა ჰქონდა მიღებული. მაგრამ თავი დავანებოთ მის მრავალს ნაკლულევანებას, ჩვენთვის საინტერესოა ვიცოდეთ, თუ როგორ უფროსობას, როგორ მზრუნველობას, როგორ დედობა[illegible] ეს შემთხვევის მიერ გაბატონებული ადამიანი ქართველს ახალ-გაზრდა ქალებს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უფროსი ქალი იმ თავითვე გამსჭვალული იყო ქართველთა მიმართ ზიზღით... ხშირად, როდესაც ეს ქალბატონი ქართველ აღმზრდელ ქალებს მოიწვევდა სათათბიროდ მოწაფეთა ყოფაქცევის შესახებ, უმტკიცებდა, რაოდენ ბედნიერია ქართველი ერი დღეს... „რომ რუსები არა ყოფილიყვნენ, შენ,—ეტყოდა ერთს—სპარსელის ჰარამხანაში იქნებოდი და შენ-კი, მზარეულის ცოლი იქნებოდიო“ და სხვა. აღმზრდელი ქალებიც შიშით ვერას ეუბნებოდნენ აღვირ-აშვებულს და მედიდურობით გამსჭვალულს უფროსს. თითქმის ამასვე ეუბნებოდა ის მოწაფე ქალებს,—რომელთაც ხან-და-ხან პოლიტიკურ ეკონომიის

ფელეტონი

წითელი სიცილი *)

ან. ჩეხოვის სახსოვრად

ნარკვევები ნაპოვნ ხელთნაწერიდან.

ნარკვევი მეცხრე

მე ვიჯექი ცხელის წყლით სავსე აუზში, ძმა კი მოუსვენრად დამტრიალებდა თავს ამ პატარა ოთახში: ხან დაჯდებოდა, ხან ადგებოდა, ატანდა ხელებს საპონს, ზეწარს, ათვალიერებდა თავის ბეცის თვალებით და უკანვე სდებდა ადგილზე. მერე მიბრუნდა კედლისაკენ, დაიწყო თითით კედლის ჩიჩქნა და თან გაცხარებული ამბობდა:

— შენ თვით განსაჯე: ხომ არ შეიძლება ათი, ოცი წლის განმავლობაში დაუსჯელად ასწავლო სიბრალული, ჭკუა, ლოღიკა, შეგნება. თავი და თავი კი შეგნებაა. შეიძლება იყოს კაცი შეუბრალებელი, დაჰკარგოს გრძნობიერება, მიეჩვიოს სისხლისა და ცრემლების ღვრის გულგრილად ყურებას, არ მიაქციოს არავითარა ყურადღება სხვის ტანჯვას—აი, როგორც ყასბები და ზოგიერთი ექიმები, ან სამხედრო წოდების ხალხი. მაგრამ როგორ შეიძლება შეიგნოს კაცმა ჭეშმარიტება და უარი სთქვას მაზედ. ჩემი აზრით, ეს შეუძლებელია. უმაწვილობიდანვე მიმაჩვიეს სიბრალულს, არ ვაწვალებდი პირუტყვებს. ამასვე მიქადაგებდა ყველა ჩემს მიერ წაკითხული წიგნი. გულ-წრფელად მებრალება ყველა ის, ვინც კი იტანჯება თქვენ დაწყევლილ ომის გამო. მაგრამ, აი, გადის დრო და ხანი, ნელ-ნელა ვეჩვევი ამ ტანჯვებს, სისხლს, სიკვდილს. ვგრძნობ, რომ ჩემ ყოველ-დღიურ ცხოვრებაში ნელ-ნელა უგრძნობელი, შეუბრალებელი ვხდები. მხოლოდ ძლიერ ამაღელვებელი მოვლენანი აღძრავენ ჩემს სიბრალულს, თვით ომს კი ვერას გზით ვერ შევჩვევივარ, ჩემი ჭკუა უარს ამბობს მის შეგნებაზე, მის ახსნაზე, რაიც დასაწყისშივე უგუნურებაა. ასი-ათასობით შეკრებილი ერთ ადგილას ხალხი, სცდილობს იმოქმედოს სწორედ, ნამდვილად, ჰხოცავს ერთმანეთს. ყველანი ერთნაირად ჰგრძნობენ ტკივილებს, ყველანი ერთნაირად უბედურები არიან—აბა რა არის ეს, რა? მერე ეს სისულელე არ არის? ძმა მობრუნდა და შეკითხვით დამაშტერდა თავის ბეცის, ოდნავ გულ-წრფელით, თვალებით.

— წითელი სიცილი.—მხიარულად ვთქვი მე და გავიჭყუმპალავე.

— მეც მართალს გეტყვი,—ძმამ ნდობით დამაყრდნო თავისი ცივი ხელი მხარზედ, ერთბაშად მომაშორა, თითქოს შეეშინდა მისი სოველის და სიტიტვლისა—მე მართალს გეტყვი: მე ვშიშობ ჭკუაზედ არ შევცდე. მე ვერას გზით ვერ გამიგია, რა ხდება. მე ვერ გამიგია და ეს საშინელება ჩემთვის. რომ ვისმეს შეეძლოს მისი ახსნა, მაგრამ არავის არ ძალუძს. შენ ომში ნამყოფი ხარ, შენ გინახავს, შენ მაინც ამიხსენი.

— წადი, მომშორდი თავიდან!—ხუმრობით ვუპასუხე და გავიჭყუმპალავე.

— აი შენც!—ნაღვლიანად სთქვა ძმამ:—არავის ძალუძს მიშველოს მე. საშინელებაა სწორედ. მეც ველარ ვარჩევ შესაძლებელს, შეუძლებელისაგან, გონივრულს უგონოსაგან. ეხლა მე რომ შენ ხელი მოგკიდო, ჯერ ოდნავ, მერე თითქოს ალერსით წაგიჭირო ყელში და დაგახრჩო—ვითომ რა იქნება?

— სისულელეს როშავ. ეგრე არავინ არ სჩადის.

ძმამ დაიფშვნიტა თავისი ცივი ხელები და ნელის ღიმილით განაგრძო.

— როდესაც შენ ჯერ კიდევ იქ იყავი, ბევრჯელ იყო ისეთი ღამეები, როცა არ შემეძლო დაძინება, მაშინ თავში საშინელი აზრები მერეოდა: მინდოდა ამეღო ხელში ცული და ამომეხოცა ყველანი: დედა, და, მოსამსახურე, ჩვენი ძაღლი. რა თქმა უნდა, ეს მარტო აზრები იყო და მე ამას არას დროს არ ვიქ.

— დარწმუნებული ვარ,—ვსთქვი ღიმილით და ჩავიჭყუმპალავე.

— აი დანებისაც ძალიან მეშინიან, აგრეთვე ყველა მჭრელ მბრწყინავ იარაღისა: მე მგონია, ხელში რომ დანა ავიღო, უთუოდ უნდა ვისმეს უნდა ყელი გამოვჭრა, არა მართლაც და რატომაც არ უნდა გამოვჭრა. ყელი, თუ კი დანა მჭრელია?

— საკმარისი საბუთია, მე და ჩემმა ღმერთმა! რა უცნაური რამ ხარ! ჩამოუშვი ერთი ცოტა ცხელი წყალი კიდევ.

ძმამ ჩამოუშვა წყალი და განაგრძო.

— აი ხალხისაც ძალიან მეშინიან, როცა ისინი ბევრი გროვდებიან ერთად. როდესაც საღამოობით ქუჩაში მესმის ხმაურობა, ყვირილი, მე ყოველთვის მაჟრიალებს და მგონია, რომ დაიწყეს უკვე... ჟლეტა. როცა რამდენიმე კაცი სდგას ერთი მეორის პირდაპირ და მე არ მესმის რაზედა ლაპარაკობენ ისინი, მე სულ მეჩვენება, რომ აი სადაა დაიყვირებენ, ეცემიან ერთმანეთს და იწყებენ ერთი მეორის ამოხოცვას შენ იცი,—სიდუმლოდ ჩამჩურჩულა მან ყურში,—გაზეთები იუწყებიან რაღაც უცნაურ მკვლელობებზე. ტყუილია ვითომც, რომ ბევრ ხალხს ბევრი ჭკუა ჰქონდეს. კაცობრიობას ერთად-ერთი გონება აქვს და ისიც ეხშობა. აბა, ნახე, რა ცხელია ჩემი თავი! შიგ ცეცხლია, ცეცხლი. ხანდისხან კი ისეთი ცივია, თითქოს რაც შიგ არის, ყველაფერი ითოშება, იყინება, ხდება საშინელ ყინულად.

მე უნდა გავგიჟდე. ნუ იცინი, ძმაო, მე უნდა გავგიჟდე. მეოთხედი დრო საათისა გავიდა კიდეც. დროა ამოხვიდე.

— ცოტაც მაიცა, ცოტა, ერთი წუთიც.

წყალში ისეთსავე სიამოვნებას ვგრძნობდი, როგორც წინად; მესმოდა ნაცნობი ხმა, რომლის სიტყვებისაც არ ვუფიქრდებოდი; ვხედავდი ირგვლივ სულ ნაცნობ უბრალო და ჩვეულებრივ საგნებს: სპილენძის, ოდნავ გამწვანებულს მილს, კედლებს ნაცნობ ხახატით, ფოტოგრაფიის საჭირო საგნებს, რაფზედ დალაგებულს თაროებზედ. მე ხელ-ახლა დავიწყებ ფოტოგრაფიის სურათების გადაღებას,—გადავიღებ შვილს, სიარულის, სიცილის და სიცელქის დროს. ამის გაკეთება უფეხებოდაც შეიძლება. კვლავ დავიწყებ წერას ჭკვიანურ წიგნებზედ, კაცობრიობის გონების ახალ წარმატებასა, სილამაზესა და მშვიდობიანობაზედ.

— ჰო, ჰო, ჰო!—ავხმაურდი მე.

— რა დაგემართა?—შიშისაგან გაფითრებულმა მკითხა ძმამ.

— არაფერი. მიხარიან, რომ სახლში ვარ.

გამიღიმა, ვით ბავშვს, ვით უმცროსს, თუმცა მე სამის წლით იმაზედ უფროსი ვიყავი, და ჩაფიქრდა, ვით ხანშესული, ვით მოხუცი, რომელსაც მძიმე ფიქრები აწუხებენ.

— სად წავიდე?—სთქვა მან მხრებ აწევით. ყოველ დღე თითქმის ერთსა და იმავე საათს ჰკეტავენ გაზეთები ნაკადს, რისგანაც მთელ კაცობრიობას ათრთოლებს. ეს ერთყამიერი გრძნობიერება ცრემლებისა, აზრებისა, ტანჯვისა და საშინელებისა მასპობს მე ნუგეშს და ვემსგავსები ნაფოტს, ზღვის ზვირთებში გადაგდებულს. მე ყოველ დღე ერთსა და იმავე დროს რაღაცა ძალა მაშორებს ჩვეულებრივ დროს გატარებას და თითქოს მკიდებს უფსკრულში აღსავსე საშინელებით და უგუნურობით. მე ჩავვარდები, უნდა ჩავვარდე იქ. შენ, ძმაო, ჯერ ყველაფერი არ იცი. შენ არა კითხულობ გაზეთებს, ბევრ რამეს გიმალავენ—ჯერ ყველაფერი არ იცი, ძმაო.

და ის, რაც იმანა სთქვა, ხუმრობათ მივიღე. ეს იყო ხვედრი ყველა მათი, ვინც თავის უგუნურებით უახლოვდება ომის უგუნურებას და გვაფრთხილებს ჩვენ. მე ეს ხუმრობათ მივიღე—თითქოს ამ წუთს, როდესაც ვბანაობდი და ვჭყუმპალაობდი, დამავიწყდა ის, რაც იქა ვნახე.

— დეე დამიმალონ რა!—ეხლა კი დროა აუზიდან ამოსვლისა!—დაუფიქრებლად წამოვიძახე. ძმამ გაიღიმა, დაუძახა მოსამსახურეს და ორივემ ერთად ამომიყვანეს და ჩამაცვეს. მერე დავლიე სურნელოვანი ჩაი ჩემ ჭდიან ჭიქიდან და თან ვფიქრობდი, რომ ცხოვრება უფეხებოდაც მშვენივრად შეიძლება. მერე

---

*) იხ. „ცნობ. ფურც“ № 7260

ლექციებსაც უკითხავდა. „მოისმინეთ, ბავშვებო, მოისმინეთ,—ამბობდა იგი—ქართველთა სახსენებელი აღარ იქნებოდა, რომ რუსები არ ყოფილიყვნენ... საქართველო არაფრის მეტს არას აძლევს რუსეთს. ქართველები რუსთა ხაზინას სძარცვენ“... ნ როგორ მოგწონს, მკითხველო, ამავე უფროსის ასეთი საქციელი. ერთმა მოსწავლე ქალმა მშვენივრად წაიკითხა დაბეჭდილი წიგნი. უფროსს ქალს მოეწონა ისი წაკითხვა, მოიხმო და უთხრა: „შენ კოცნის ღირსი ხარ, მაგრამ არ გაკოცებ, რადგან ქართველი ხარო“. როდესაც ქართველი მოწაფე ქალები ეკკლესიაში იდგნენ წირვა-ლოცვაზე, უფროსი თვალს არ აშორებდა. მოწაფეები ლოცვის მაგივრად მექანიკურად პირ-ჯვარს იწერდნენ, მისგან შენიშვნა არ მივიღოთო. როდესაც შეეკითხნენ უფროსს: პირ-ჯვრის წერის ძალ-დატანებას რად ჰკადრულობო, — პასუხი: „ხელმწიფისათვის რომ ლოცვაა დადებული ეკკლესიაში, აი იმ ლოცვის კითხვის დროს მოწაფე ქართველები განზრახ პირ-ჯვარს არ იწერენ, და მეც ძალას ვატანდიო“ და სხვა-და-სხვა... მიხვდით, რას ბრძანებს? ქართველი მოსწავლე ქალები ხელმწიფის წინააღმდეგნი ყოფილან, მისთვის ლოცვა არ ნდომიათ — პოლიტიკური დანაშაულობაა, ღალატია, ღალატი! წირვა-ლოცვა სასწავლებლის ეკლესიაში იმის მეოხებით უცხო ენაზე სწარმოებდა, ერთი „უფალო შეგვიწყალე“ რა არის, იმის გალობის ნებასაც-კი არ აძლევდნენ, მოწაფეებს, ალბად, იმიტომ, რომ „Господи помилуй“-ს გალობით რუსული საქმე მკვიდრს ნიადაგზე დამყარებულიყო ჩვენს ქვეყანაში.

ღირსეულ უფროსს თანაშემწე-აღმზრდელებად უმეტესად ჰყავდა თავისი თანამოაზრენი, რომელთა საპირადო ღირსებაც ბინდ-ბუნდით იყო მოცული.

ესენი, ვითომ და აღზრდის სახელით, მომხრენი იყვნენ მუშტი-კრივისა, მათრახისა, საყოფაქცევო წიგნში მოწაფეთა ჩაწერისა. ერთი ნათელი, ერთი ტკბილი სიტყვა რა არის, იმათ ბაგეთაგან მოწაფე ვერ გაიგონებდა... ან კი როგორ შეიძლებოდა მათგან ტკბილი სიტყვა-დარიგება, როდესაც გულში მოწაფეთა მიმართ სიყვარული არა ჰქონდათ!! მათსა და მოწაფეთა შორის დიდი უფსკრული იყო. მოწაფეები შიშით მშობლიურს ენაზე ვერ ლაპარაკობდნენ ურთიერთ შორის. ეს მათთვის აკრძალული იყო.

ყველა ამან, რა თქმა უნდა, მოწაფეთა შორის უკმაყოფილება გამოიწვია. მოითხოვეს ადამიანურ არსებობის მინიჭება, მოითხოვეს უფროს ქალის გაძევება... გამოძიება მოხდა და გამოკვლეულ იქმნა უკმაყოფილების მიზეზები. უფროსი ქალი, როგორც იქნა, დაითხოვეს სასწავლებლიდან. მაგრამ ამის გამო სასწავლებლიდან რამდენიმე მოწაფეც დაითხოვეს სამუდამოდ—ერთს დამნაშავეს მრავალი უდანაშაულო ახალგაზრდა შესწირეს. ამ დათხოვნას მოჰყვა კიდევ უკმაყოფილება და ამ უკმაყოფილებამ წარმოშობა მთელის სასწავლებლის უფროს კლასთა მოწაფეების „გაფიცვა“, რომელთაც სწავლას თავი მიანებეს და თავ-თავიანთს სახლებში წავიდ-წამოვიდნენ. ეხლა კი იძახიან, ის რამდენიმე მოწაფე დროებით (ერთის წლით) დაითხოვეს და დანარჩენი მოწაფეები ტყუილად ელოდნენო... ეგებ ამ სამწუხარო გარემოებამ მაინც დაანახვოს მძინარე მამებს მათის შვილების არსებობის მწარე სინამდვილე და მხნედ ხმა ამოაღებინოს.

იმედიანი

სამეგრელო. ოც წელიწადზე მეტია, რაც სამეგრელოს სკოლებიდან ქართული ენა სრულიად განდევნეს, მაგრამ ამით არაფერი წარმატება არ მისცემია ქვეყანას. პირიქით, სამეგრელო უკან ჩამორჩა თავის იავსაც. 20 წლის სამინისტრო სკოლამ, რომლის დროს მთელი ახალი თაობა აღიზარდა, სამეგრელოს მისცა რამდენიმ „მოსე მწერალი“ და აშორდია თავის უვიც კამპანიით. ნუ თუ ამისათვის ინახავს ისედაც წელმოწყვეტილი გლეხობა ამდენ ხნის განმავლობაში სამინისტრო სკოლებს. ვითომ რა იქმნებოდა, რასაც სკოლის გარეშე ფარულად სწავლობენ, ის სკოლაში ესწავლათ ბავშვებს. ამით ვის რა დააკლდებოდა. ხშირად იყო ასეთი მაგალითი: ეგრედ წოდებული ორ-კლასიან „ნორმალურ“ სასწავლებელს ათავებდა ბავშვი და მერე სამრევლო სკოლაში შედიოდა, სადაც ქართულად წერა-კითხვას ასწავლიდნენ. და კიდევაც სამეგრელოში სამრევლო სკოლები ყოველგან გავრცელდა. მაგალითად, ს. ხორშში სამია ასეთი სკოლა და ყველას მშვენიერი შენობები აქვს აგებული (1 მათგანს ორკლასიანად უნდოდათ გადაეკეთებინათ, მაგრამ გაიგეს, ქართულ ენას სამრევლო სკოლებშიაც სპობენო და ხალხმა გული აიცრუვა, არ დაასრულა) და სამინისტრო „ორ-კლასიანი“ სკოლა კი მოთავსებულია ს. ხორშში ნახევრად დამპალ და ძველ შენობაში და ნახევარი იმგვარსავე კანცელარიის ოთახში, სადაც ხალხის ყვირილთან არაფერი ისმის. რუსული, რომელსაც ამ სკოლაში „მუნჯურათ“ ასწავლიან, ჰიშკრამდი არ მიჰყვება ბავშვებს. და აი ამისთვის არ თანაუგრძნობს ხალხი ამგვარ სკოლებს.

ქ. გვასალია

სიღნაღი. სიღნაღის მთელ მაზრაში, სადაც ასი ათასზე მეტი მცხოვრები ითვლება, ხალხის განათლებისათვის არსებობს ერთად-ერთი სამ-კლასიანი საქალაქო სასწავლებელი ვაჟებისათვის და ორიც ოთხ და სამკლასიანი საქალებო. (მე სახეში არა მაქვს სოფლის პირველ დაწყებითი სკოლები, რომელთაც სარგებლობა არ მოაქვთ). აი ეს სამი სასწავლებელია, რომელმაც უნდა მოჰფინოს სწავლის სინათლე ამოდენა ხალხს. საუბედუროდ, ეს სკოლებიც ისე ანორმალურს პირობებშია ჩაყენებული, რომ აქ კურს დამთავრებულნი იმდენად უცოდინარნი გამოდიან, რომ არამც თუ სწავლის გაგრძელება არ შეუძლიანთ სხვა სასწავლებელში, რიგიანი წერა-კითხვაც არ იციან არც რუსული და არც ქართული. სავაჟო სკოლაში ქართულ ენის გაკვეთილები მეტად მცირე და უდროოდაა დანიშნული, შვიდის წლის განმავლობაში სრული უცოდინარნი გამოდიან ქართულის ცოდნაში. რაც შეეხება ქალების სკოლებს, აქ ხომ სამშობლო ენის ხსენებაც არ არის. ბავშვები პირველ დღესვე იწყებენ რუსულ ენაზე სწავლას მუნჯურის მეტოდით. მთელის კურსის განმავლობაში ისე უვარგისად ითვისებენ რუსულს ენას, რომ არც ლაპარაკი შეუძლიანთ რიგიანად და არც წაკითხულის გაგება. კარგა ხანია ხალხში გაისმოდა საყვედური და ჩივილი ამისთანა არა სასურველ და ანტიპედაგოგიურად დაყენებულ სწავლების საქმის გამო ამ სკოლებში, მაგრამ არავითარი ღონე არავის უხმარია, რომ ეს ერთად ერთი სახსარი ხალხის განათლებისა ნორმალურ კალაპოტში ჩამდგარიყო. მაგრამ დადგა დრო, როდესაც ჩუმმა ჩივილმა მიიღო რეალური ფორმა. როგორც სხვაგან, აქაც ვაჟების სასწავლებელში შესწყდა სწავლა. მოწაფეებმა წარუდგინეს სასწავლებლის მთავრობას თავისი მოთხოვნილებანი. თხოულობენ აწ არსებულ სწავლების სისტემის სრულიად შეცვლას. სწავლება უნდა სწარმოებდეს სამშობლო ენაზე, რომ შეეძლოთ შეიძინონ რამე ცოდნა, ცხოვრებაში გამოსაყენებელი, თორემ აბა რას წაავავს, ამოდენა დროს ვკარგავთ და ისევ უვიცნი გამოვდივართ სკოლიდანაო. მოთხოვნილებში იყო 11 მუხლი. ვიდრე ამ მოთხოვნილებას არ დააკმაყოფილებთ, სწავლას არ დავიწყებთო. ამ შემთხვევისა გამო სასწავლებლის მთავრობამ მოიწვია ამ თვის 12 მშობლები საქმის გამოსარკვევად. კრებაზედ გამოირკვა, თუ რა ცუდად ყოფილა დაყენებული ამ სკოლაში სწავლების საქმე, ამოდენა დრო რა მუქთად ეკარგებათ ბავშვებს. კრებაზე დაადგინეს სწავლა შესწყდეს ენკენისთვემდის, სანამ ასე თუ ისე გამოირკვევა დღევანდელი არეულ-დარეული მდგომარეობა.

არც საქალებო ოთხ-კლასიან სკოლის მოწაფენი ჩამორჩნენ ვაჟებს. როგორც უკვე ვიცით, ამას წინად მათაც წარუდგინეს თავიანთი მოთხოვნიანი სასწავლებლის მთავრობას, მაგრამ თხოვნა არ მიიღეს და გამოუცხადეს, რომ თუ უკმაყოფილნი ხართ, დეე თქვენმა მშობლებმა შემოიტანონ საჩივარიო. მოწაფეებმა ფოსტით გაუგზავნეს ქაღალდი სასწავლებლის მთავრობას. 16 ამ თვეს მოწვეულნი იყვნენ მშობლები. სასწავლებლის დარბაზი და მთელი ქუჩა სავსე იყო ხალხით. მშობლებმა მოითხოვეს, წაეკითხათ ბავშვების მოთხოვნანი; სკოლის მთავრობა გაჯიუტდა და არ აპირობდა წაკითხვას, მაგრამ ისეთი საშინელი ჟურ-ზაური ასტყდა, რომ იძულებულნი გახდნენ წაეკითხნათ. მოთხოვნაში ზოგიერთი მუხლებს გარდა იგივე იყო, რაც ვაჟებისაში. განსაკუთრებით ბავშვები უცხადებდნენ საშინელ საყვედურს მასწავლებლებს და თხოულობდნენ, რომ მათ შორის იყოს მშობლიური განწყობილება და არა ურთიერთ შორის ზიზღი, როგორც დღეს არის მასწავლებელთა წყალობით. ბევრი სჯა-ბაასის შემდეგ დაადგინეს, შესწყდეს სწავლა, ვიდრე ყველა მოთხოვნანი არ იქმნება დაკმაყოფილებულიო. შეადგინეს ოქმი, რომელიც წარედგინება ჯეროვან მთავრობას განსახილველად. ამ სკოლების ამბებმა გამოაღვიძა დაძინებული სიღნაღი და შეიტანეს აქაურ ცხოვრებაში სიცოცხლე.

განწირული

ოფიციალური ცნობა

(„კავკაზ“ № 84)

გურიაში

ოზურგეთის მაზრაში სამხედრო რაზმით გაგზავნილი გენერალ-მაიორი ალიხანოვი იუწყება: მას აქეთ, რაც გურიის მოძრაობის ხელმძღვანელნი დაჭერილ და გაგზავნილ იქმნენ, საქმის ვითარება გურიაში სრულებით შეიცვალა. მცხოვრებლები ბეჯითად ასრულებენ სავალდებულო დადგენილებათ და დაუბრკოლებლად შემოაქვთ სხვა-და-სხვა გადასახადი. დაცემული პოლიცია ისევ შეუდგა თავის თანამდებობის ასრულებას და დამწვარ სასოფლო სამმართველოთა მაგიერ შენდება ახალი ქვის შენობები. მას შემდეგ, რაც გენერალის ალიხანოვის რაზმი ოზურგეთის მაზრაში შემოვიდა, იქ არც ერთხელ არ დარღვეულა წესიერება.

გაფიცვა რკინის გზაზე.

20 და 21 მარტს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე, ალექსანდროპოლ-ყარაკლისს შუა, რკინის გზის სამი ნაწილის ყველა მოსამსახურეებმა თავი დაანებს მუშაობას, კანტორებთან მოიყარა თავი და მოითხოვა ჯამაგირის მომატება და სამუშაო დროს შემცირება. ალექსანდროპოლის სადგურზე ლიანდაგის მუშების ბრბომ აიძულა დეპოში მომუშავენი შეეწყვიტათ მუშაობა. დეპოში შემდეგ განახლდა მუშაობა, რაიც გამოწვეულ იქმნა იმ გარემოებით, რომ აქ სამხედრო რაზმი გამოგზავნეს, რომელიც იცავს მთელ ლიანდაგს ტფილისიდან ერევნამდის. ლიანდაგის მუშები კი მუშაობენ მხოლოდ რკინის გზის ერევნის ნაწილზე. მუშათა უმრავლესობა აქ მაჰმადიანებია. მიღებულ ცნობებით, გაფიცვის მეთაურები უმთავრესად ქართველი მოსამსახურეები არიან. იმათ ადვილად ემხრობიან სომები მოსამსახურეები. დანარჩენები კი იმიტომ არ გამოდიან სამუშაოდ, რომ ეშინიათ, გაფიცულებმა ჩვენზე შური არ იძიონო· მაჰმადიანები სრულებით არ იღებენ მონაწილეობას გაფიცვაში.

22 მარტს ღამე განიზრახეს ერევნის მხარეზე სამგზავრო მატარებლების დამსხვრევა და ორ ალაგას გააფუჭეს ლიანდაგი. ეს ამბავი დროზე შეიტყეს და უბედურება აიცილეს. იმავე ღამეს ვიღაც ბოროტ-განმზრახველებმა იქვე ორ ალაგს გასჭრეს ყველა სატელეგრაფო მავთული. დილის 8 საათზე მავთულები გაასწორეს და განახლეს სატელეგრაფო მუშაობა. როგორც სჩანს, რკინის გზასა და ტელეგრაფს გაფიცულნი აფუჭებენ. უბედურ შემთხვევათა ასაცილებლად, განკარგულება იქმნა გამოცემული, რათა დროებით გაუქმდეს ღამ-ღამობით მიმოსვლა სამგზავრო, სამხედრო და საქონლის მატარებელთა ტფილისიდან ერევნამდის.

ახალი ამბავი

✦ დღეს, 31 მარტს, თავ. ქობულაშვილის სახლში, გრიბოედოვის ქუჩაზე დილის 11 საათისათვის დანიშნულია ტფილისის გუბერნიის **თავად-აზნაურთა საგანგებო კრება**.

✦ 29 მარტისათვის **დანიშნული იყო სხდომა** კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოსი. ამ საღამოს საბჭოს, საზოგადოების დადგენილების თანახმად, უნდა აერჩია წარმომადგენელი ბულიგინის კომისიაში გასაგზავნად. საბჭოს სხდომა არ შესდგა, რადგან საკმაო რიცხვი წევრებისა არ დაესწრო, და გადაიდო სამშაბათისათვის.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელთ, ქალებმა და კაცებმა, 24 მარტს მომხდარ კერძო თათბირზე შემდეგი დაადგინეს: „**დღევანდელ პირობებში** შეუძლებელია სახალხო სწავლა-განათლების რიგიანად მოწყობა. ამ საქმის ნორმალურად, წესიერად მოწყობისათვის საჭიროა თვით ცხოვრება დალაგდეს ნორმალურად. რამდენად ასცდა ცხოვრება ნორმალურ მსვლელობას, ამტკიცებს ის გარემოება, რომ დღეს რუსეთის მთელი საზოგადოება სტიქიურად ამოძრავებულია: საზოგადოება თხოულობს გაუმჯობესდეს და შეიცვალოს არსებული წესები და კანონები, რადგან ისინი არ ეთანხმებიან დღევანდელ პირობათ და აბრკოლებენ ხალხის განვითარებას. სახალხო განათლება ისეთი საქმეა, რომელიც მოითხოვს მოღვაწისაგან სულიერ სიმშვიდეს და დალაგებულ მსჯელობას. წესიერი და დინჯი სწავლება-კი შეუძლებელია დღევანდელ მღელვარე დროს, როცა ყველა შფოთავს და ძალასაც ელის. ამიტომ ჩვენ, ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების მასწავლებელი ქალები და კაცები, შესაძლოდ არა ვსცნობთ განვაგრძოთ სწავლება და ვსპობთ იმ დრომდის, სანამ რუსეთში სასურველი უკეთესი წეს-წყობილება არ დამყარდება, რომელიც უზრუნველჰყოფს სამეცნიერო გამოკვლევისა და სწავლების თავისუფლებას“.

✦ 27 მარტს მეორედ მოხდა ტფილისის **დურგლებისა, ქარგლებისა და შეგირდების ყრილობა**. დაესწრო 300-მდე კაცი; რადგან ამოდენა კრებაზე შეუძლებელი იყო საჭირ-ბოროტო საქმეების გადაწყვეტა, ყრილობამ აარჩია 15 კაცისაგან შემდგარი კომისია და იმას მიანდო აღძრულ საკითხების შემუშავება

✦ როგორც ხმა დადის, ქართლ-კახეთის ეპარქიის სამღვდელოების დეპუტატთა **განძრახული** კრება აღარ მოხდება.

✦ ტფილისის პოლიცმეისტერმა მისწერა პოლიციის მე-10 ნაწილის ბოქაულს, ყოველივე ღონე იხმაროს, რომ **ნაძალადევში ქალაქისა და სახელმწიფო ადგილები** არავინ მიითვისოს.

✦ როგორც ხმა დადის, **გორის ეპისკოპოსად ინიშნება** ალავერდის ეპისკოპოსი ევთიმე, ხოლო ალავერდის ეპისკოპოსად—ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორის ნიკანდრის ნაცვლად, რომელიც საეპისკოპოდ წარდგენილი იყო, ინიშნება არქიმანდრიტი ანდრია (უხტომსკი).

✦ ტფილისის სამკერვალოების ხელოსნებმა ეს მესამე დღეა მოთხოვნილებანი წარუდგინეს სამკერვალოების პატრონებს და **შესწყვიტეს მუშაობა**. ხელოსნები თხოულობენ სასყიდლის მომატებას. ამას გარდა მუშაობა უნდა იყოს 8 საათიდან საღამოს 8 საათამდე.

✦ **ყასაბებმა გადასწყვიტეს**, თითო სულმა მათგანმა თანაბრად [illegible] საკლავი, რომ ხორცი [illegible] არ დარჩეს და ხალხს სალი ხორცი მოაწოდონ. ერთი ყასაბი, თათოზ პეტროსოვი, ასეთ დადგენილებას არ დაექვემდებარა. ამის გამო 29 მარტს პოლიციის მე-7 ნაწილში პეტროსოვისათვის აუტეხიათ ჩხუბი სხვა ყასაბებს და უცემიათ კიდეც.

✦ უკვე ვწერდით, რომ სამკურნალო უწყების განკარგულებით ტფილისში მოხდა **ფარმაცევტთა რამდენიმე კრება** აფთიაქის მოსამსახურეთა მდგომარეობის გამოსარკვევად. კრებას სასურველად უცვნია:

1. შემოღებულ იქნას აფთიაქებში მოსამსახურეთა ორ რიგად მუშაობა; 2. თვეში თვითეულმა უნდა იმორიგეოს მხოლოდ ათი ღამე; 3. შეგირდებს პირველ წელს მიეცეთ 40 მან., მეორე წელს—45 მან. და მესამე წელს—50 მან., პროვიზორის თანაშემწეთ: პირველს წელს—80 მან., მეორე წელს—85 და მესამე წ.—90 მ. მმართველ პროვიზორს—150 მან., ლაბორანტს—130, რეცეპტარიუსს—130 და სუბ-რეცეპტარიუსს—110 მან.; 4) პრაქტიკანტებს ადგილი არ უნდა ჰქონდეთ აფთიაქებში; 5. მოსამსახურენი უჯამაგიროდ არ იქმნენ მიღებულნი; 6. მოსამსახურენი, რომელთაც ერთი წელი უმსახურნიათ, უნდა ერთი თვით განთავისუფლდნენ წელიწადში; 7. შეგირდები არ უნდა იქნენ დათხოვნილნი, თუ დათხოვნამდე ერთი თვის წინად არაფერი ეცნობათ, წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი თვის ჯამაგირი უნდა მიეცეთ; 8. ავადმყოფობის დროს მოსამსახურეთ სამი თვის განმავლობაში ჯამაგირიც უნდა ეძლიოთ და ადგილიც უნდა შეენახოთ; 9. აფთიაქის გარეშე არავითარი სხვა საქმე მოსწავლეთ არ დაევალოთ; 10. რაიმე სენის გავრცელების დროს, მოსამსახურეთ ჯამაგირის 50% უნდა მიემატოთ; 11. ჰიგიენის დასაცველად საჭიროა მოსამსახურენი აფთიაქში პატრონთა სახსრით შეძენილ ხალათებში მუშაობდნენ; 12. აფთიაქთან უნდა იყოს სამორიგეო ოთახი; 13. დაარსდეს სამედიატორო სასამართლო ფარმაცევტთა და აფთიაქართა შორის სადაო საქმეების განსახილველ-გადასაწყვეტად. 14. ზემოდ აღნიშნული მოთხოვნილებანი უნდა შეეხებოდეს ქალ ფარმაცევტებს და სააფთიაქო მოსწავლეებს განურჩევლად სქესისა და 15. ფარმაცევტის თავისუფალი ადგილი არ უნდა მიეცეს იმ ფარმაცევტს, რომელსაც სხვა დაწესებულებაში უმსახურნია.

✦ ხვალ, 1 აპრილს, სენატში პეტერბურგს გაირჩევა **საკასაციო საჩივარი 25 სომხისა**, რომელთაც ჰბრალდებათ შეიარაღებულ წინააღმდეგობის გაწევა საეკლესიო მამულების ჩამორთმევის დროს განჯაში.

✦ **რედაქციამ მიიღო** თავ. აკაკი წერეთლის ფონდის სასარგებლოდ ვ. ქიქინაძის და ამ. ლომთაძეს მიერ რაჭაში შეკრებილი 18 მანეთი; ბაქოში 6—9 თებერვალს დაზარალებულთა სასარგებლოდ სოლ. გოშაძესაგან—70 მან. 38 კაპ. ეს ფული 9 მარტს თელავში გამართულ წარმოდგენიდან შემოვიდა. ამავე დაზარალებულთა სასარგებლოდ მოგვივიდა 30 მან. 70 კაპ. პეტრე გვარამაძეს მიერ ყარსის ქართველთა შორის შეგროვილი. ამასთან მივიღეთ სია შემომწირველთა, მაგრამ, ადგილის სიმცირის გამო, ვერ ვბეჭდავთ.

✦ კვირას, 3 აპრილს, ტფილისის საკრებულოს დარბაზში, ქ-ნთ ნ. მ. გაბუნია ცაგარლისა და ტ. აბაშიძის მონაწილეობით, **გაიმართება წარმოდგენა**. ითამაშებენ აზიანის „გაცრუებულ იმედებს“ და „პარიზელ ბიჭს“.

✦ 4 აპრილს ქართველ მსახიობთა მიერ ნ. ჩხეიძისა, ა. კარგარეთლისა, ოლ. ლეჟავასი, ბ-ნ გუნიას, გედევანოვის, სვიმონიძის, კ. შათირიშვილის, შალიკაშვილის და სხვათა მონაწილეობით **საქველმოქმედო აზრით წარმოდგენილი** იქნება ახალი პიესა ტრიფ. რამიშვილისა „მეზობლები“.

✦ **წინამძღვრიანთ-კარის სამეურნეო** სკოლის გამგედ დაინიშნა პ. გ. გელია.

✦ **ბაქო.** 27 მარტს აქ, ქ-ნთ ეფ. მესხისა და ქ. ანდრონიკაშვილის მონაწილეობით, წარმოდგენილ იქნა დ. ერისთავის „სამშობლო“-ს უკანასკნელი სცენა და ქ-ნ აზიანის „გაცრუებული იმედები“. დასასრულ გაიმართა რუსულ-თათრულ-სომხურ-ქართული დივერტისმენტი. შემოსავლის ერთი მესამედი გადაიდო ადგილობრივ ქართულ-რუსულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი—6—9 თებერვალს ბაქოში დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ ტფილისის **საეპარქიო დედათა სასწავლებლის** საბჭოს წევრად დეკ. ანტ. თოთიბაძის ნაცვლად ეგზარხოსის მიერ დანიშნულ იქმნა ტფილისის კუკიის წმ. ნინოს ეკკლესიის წინამძღვარი მღვდელი გიორგი გამრეკელი.

✦ ხვალ, 1 აპრილიდან, ტფილისის საპოლიციო უბნებში დაიწყებენ მოქმედებას უბნის **სასანიტარო რაზმები**. რაზმები შეუდგებიან ქუჩების და კერძო ეზო-სადგომების დათვალიერებას.

✦ შაბათს, 2 აპრილს, მოხდა კრება ამიერ-კავკასიის რკინის გზის **მომხმარებელ საზოგადოებისა**.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზამ გუშინ აცნობა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ რკინის გზამ ომში დაღუპულ ჯარის-კაცთა ობლებისათვის დააარსა თავშესაფარი. რადგან თავშესაფარში საკმაო ადგილია, კარგი იქნება თუ ქალაქის გამგეობა აცნობებს ამას ობოლთა [illegible], ბავშვები მოათავსონ თავშესაფარში.

✦ ნაძალადევში 30 მარტს დააპატიმრეს ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები ტიხონ ხანაძე, რომელ-

---

გამიყვანეს ჩემს სამუშაო ოთახში და მოვემზადე სამუშაოდ.

ვიდრე ომი დაიწყებოდა, მე ვთანამშრომლობდი ერთ ჟურნალში უცხოეთის ლიტერატურის მიმოხილვით. ეხლა ჩემს ახლო ხელის მიწვდაზე ეწყო გროვა ამ კოხტა, მშვენიერ წიგნებისა, ყვითელ, ლურჯ, ცისფერ ყდებში. ჩემი სიხარული ისეთი უსაზღვრო იყო, სიამოვნება ისეთი ღრმა, რომ ვერ გავბედნა დამეწყო კითხვა, მარტო გათვალიერებდი წიგნებს და ნაზად ვუალერსებდი. ვგრძნობდი, რომ ტუჩებში მითამაშებს ღიმილი, ალბად, ძალიან ტუტუცური ღიმილი, მაგრამ მე ვერ შემეკავებინა იგი. ვსტკბებოდი შრიფტით, ყდის არშიებით, სურათების სიმშვენიერით და მის უბრალოებით. რამდენი ჭკუა, გრძნობა და სილამაზეა ყველა ამაში! რამდენი უნდა ეშრომა კაცს, რამოდენა ნიჭი და გემოვნება უნდა მოენდომებინა, რომ შეექმნა თუნდაც აი ეს ასო, ასეთი უბრალო და კეკლუცი, ასეთი ჭკვიანური, ჰარმონიული და მჭევრმეტყველი თავის ათასგვარ დაკლაკნულ, გადაბმულ ხაზებით.

— ეხლა კი უნდა მივყო ხელი მუშაობას,— დინჯად, შრომისადმი პატივის ცემით ვსთქვი მე.

— ავიღე ხელში კალამი სათაურის დასაწერად და ვით ბაყაყი მიბმულ ბაწრით ხტუნაობს ხოლმე, ისე იწყო ჩემმა ხელმაც ქაღალდზედ ხტუნაობა. კალამი ესობოდა ქაღალდს, ჭრიალებდა, სხლტებოდა და გამოდიოდა რაღაცა მახინჯი ხაზები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი, მოკლებული აზრს. მე არც დავიყვირე, არც გავინძერი—გამაცია და დავრჩი გარინდებული, რომ შევიგნე მოახლოვებული საშინელი ჭეშმარიტება. ხელი კი რბოდა განათებულ ქაღალდზედ, და ყოველივე მისი თითები კანკალებდნენ ისეთის უიმედო, უგუნურ შიშით აღტაცებულნი, თითქოს ისინი, ის თითები ჯერ კიდევ იქ, ომში იყვნენ და ჰხედავდნენ განთიადს და სისხლს, ესმოდათ კვნესა და კმინვა აუწერელ ტანჯვისა. იგინი გამშთრნდნენ, გამოცოცხლდნენ, გარდიქმნენ თვალებად და ყურებად ის უგუნურად მთრთოლვარე თითები; მე თანდათან ვცივდებოდი და არ შემეძლო დამეყვირა, გავნძრეულიყავ. მე ვადევნებდი თვალს მათ ველურ სრიალს ამ თეთრს, განათებულ ქაღალდზედ.

მყუდროებას მოეცვა იქაურობა. იმით ეგონათ, რომ ვმუშაობ და დახურეს ყველა კარებები, რათა არ დაეშალნათ ჩემთვის ხმაურობით. მარტო, მოკლებული მოძრაობას, ვიჯექ ოთახში და ვადევნებდი თვალს ჩემ ხელის კანკალს.

— ეს არაფერია,—ხმამაღლა ვსთქვი და ამ სიწყნარესა და მარტოობაში ხმა მოისმა ისე ხრინწიანად, თითქოს ეს იყოს ხმა გაგიჟებულისაო.

— ამას არა უშავს-რა. მე შემიძლიან ვუკარნახო. მილტონი ხომ ბრმა იყო, როდესაც სწერდა თავის „დაბრუნებულს სამოთხეს“. მე შემიძლიან აზროვნობა და ეს უმთავრესია.

მე დავიწყე გძელ და ჭკვიანურ წინადადების შედგენა ბრმა მილტონზედ, მაგრამ სიტყვები მერეოდა, მივივიწყებოდა, ვით ცუდ შენაწყობიდან, და როდესაც ვათავებდი წინადადებას, მავიწყდებოდა მისი დასაწყისი. მინდოდა მომეგონა, საიდან ან რად დავიწყე ეს უცნაური, უაზრო წინადადება ბრმა მილტონზედ, · მაგრამ ვერ ვახერხებდი მას.

— დაბრუნებული სამოთხე, დაბრუნებული სამოთხე!—ვიმეორებდი და არ-კი მესმოდა, რას ნიშნავდა.

აქ მოვისაზრე, რომ საერთოდ ბევრი რამ მავიწყდება, უცნაური გულ-მავიწყი გავხდი, ვრევ ნაცნობების სახეებს; უბრალო ლაპარაკშიაც ვერ ვხმარობ სიტყვებს, მავიწყდება მათი მნიშვნელობა. ეხლა ნათლად ვხედავ, რისგან შესდგება ჩემი დღე: როგორიღაც უცნაური, მოკლე მოწყვეტილი, ვით ჩემი ფეხები, ცარიელი, ხანგრძლივი გონება დახშული, გრძნობიერება დაკარგული.

მინდოდა დამეძახნა ცოლისთვის, მაგრამ დამავიწყდა მისი სახელი—ამას მე სრულიად არც გაუკვირვებივარ და არც შევუშინებივარ. ჩურჩულით ვსთქვი:

— ცოლო!

მოუხეშავი, უჩვეული დასაძახებლად სიტყვა დახმაურდა და მიწყდა, პასუხის გამოუწვევლად. მყუდროებას მოეცვა იქაურობა. მათ ეშინოდათ, რომ უნებურის ხმაურობით არ შეეშალნათ ჩემთვის ხელი, მყუდროება იყო—ნამდვილი. სამუშაო ოთახი მეცნიერისა, წყნარი, მყუდრო. „როგორა ზრუნავენ ჩემთვის“!—გავიფიქრე მე ლმობიერად.

...წმინდა, ზეგარდმო ნიჭით აღვივსე მე. მზე აენთო ჩემს თავში, და მწველმა შემოქმედების სხივებმა გააბრწყინეს ქვეყნიერება და [illegible] ვარდნი და გალობანი. მთელ ღამეს ვწერდი დაუღალავად და თავისუფლად დავფრინავდი აღფრთოვანებული, წმინდა, ძლიერ შემოქმედების ოცნებებში. ვწერდი დიდებულს, ვწერდი უკვდავს და იგი იყო ვარდნი და გალობანი, ვარდნი და გალობანი...

ი. ხირსელი.

(შემდეგი იქნება)

საც ჰბრალდება არტემ ალიხანოვის მოკვლაში მონაწილეობის მიღება. სანაძე მეტეხის საპყრობილეში დააპატიმრეს.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინ მისწერა ქალაქის გამგეობას, შეაჩერეთ და სისრულეში ნუ მოიყვანთ საბჭოს გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება საუქციონო ზალის გამგედ შადინოვის არჩევასაო.

◆ ამას წინად, როგორც ვწერდით, საინჟენერო დისტანციამ სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ ნება არავის მიეცეს თოფის წამლის საწყობიდან 200—300 საჟენზე ახლო შენობა ააგოსო. გუშინ ქალაქის გამგეობის „სამშენებლო განყოფილებამ აცნობა დისტანციასა და საგუბერნიო სამმართველოს, რომ დისტანციის მოწერილობის შესრულება, როგორც კანონის შეუსაბამო მოთხოვნილება, არ შეიძლება; გამგეობამ დაადგინა, აღძრას შუამდგომლობა უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ წამლის საწყობი ქალაქის საზღვრიდან 750 საჟენის მანძილზე იყოს დაშორებული.

◆ ტფილისის ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის ზედამხედველმა სთხოვა გამგეობას, ქალაქის ტეხნიკოსმა შეამოწმოს რამდენად მკვიდრია მტკვარზე ნავებიო.

ქუთაისის ახალი ამბები

◆ ქალაქის მოურავმა დ. ა. დოროქიფანიძემ თავის დეპეშის პასუხად კავკასიის ნამესტნიკის გრაფის ვორონცოვ-დაშკოვისაგან შემდეგი დეპეშა მიიღო: „გადაეცით ქუთაისის ქალაქის მცხოვრებთა და მიიღეთ პირადათ თქვენ ჩემი მადლობა მილოცვისათვის. კავკასიის მცხოვრებთ შეუძლიანთ ეჭვი არ იქონიონ, რომ მე მუდამ გულმხურვალედ მოვეპყრობი მის საჭიროება-მოთხოვნილებათ. იმედი მაქვს, რომ შეწევნითა ღვთისათა და თვით მცხოვრებთა ჩემთან ერთად მეგობრული შრომით კავკასიის დაწყნარება და ამ მდიდარ მხარის მშვიდობიანი და ნაყოფიერი განვითარება არ დაგვიანდება“.

◆ ქალაქის საბჭომ, თანახმად ქალაქის მოურავის დ. ა. დოროქიფანიძის მოხსენებისა, შეიწყნარა გუბერნატორის წინადადება დაბალ პოლიციელთა რიცხვის გამრავლებისა და ჯამაგირების მომატების შესახებ და დაადგინა: პოლიციელთა მეტი გადიდებულ იქმნას ოცის კაცით, რომელთაც თვეში თხუთმეტ-თხუთმეტი მანეთი უნდა ეძლიოთ! გარდა ამისა ძველ პოლიციელთ თვიურად მოემატოთ ჯამაგირი 2 მ. 50 კაპ. ამისათვის ქალაქს დასჭირდება სულ წლიურად 5,000 მანეთი.

პატარა ფელეტონი

ამდროული

(მიბაძვა ნ. ნ.)

ცხოვრება ღოღია, გარბიხარ, ჩქარობ და იქვე ერთ ადგილს ხარ!
რაც შვილი იყავ წინეთ—ახლაც იგივე ხარ!
ოჰ, უფალო, უფალო!
ცხოვრება კიდევ ლაპარაკია! ლაპარაკობ, ლაპარაკობ, ლაპარაკობ და მუნჯათ ხარ!
უცნაურია და სასაცილო!
ყველგან ღოღია და ლაპარაკი!
ღოღში, რომ რაშს მიაქროლებ, გინდა ყველა ცხენებს გაუსწრო..
ყველას აჯობო, ყველა დატუქსო, დაჩაგრო, უცბად ურემს გაუტყდება ბორბალი!
გაგორდა ბორბალი, შეჩერდა ურემი!
მოვრთე ყვირილი! ვყვირი მე, მე ვყვირი, ვყვირი მე!
არავის ესმის, არავინ იძვრის!
იარე იმავე ადგილას!!
ღოღია უცნაური და სასაცილო!

* *

ხალხი იცინის! ცხენზე იჯექ და ურემი გაგიტყდა!
მუნჯი ხარ და ლაპარაკობდი!
გატეხილ ბორბალს ჩასჭიდებიხარ, არ იშორებ და გარბის ურემი!
მიქრის ურემი!
ხალხი იცინის! მე ვლაპარაკობ არ მუნჯათ კი ვარ.
ვლაპარაკობ და არას ვამბობ!
ვლაპარაკობ და არავის ესმის!
გავრბივართ, იქვე ვართ!
„გატყდა ურემი, მოძვრა ბორბალი
„და გამოვიდა დიდი დო-მხალი!
დიდებული რამ არის სიცილი! როცა ვტირი, მაშინაც ვიცინი!
დროება შეიცვალა, მე კი ვიცინი! „ერთობა“, ერთობაო და ვიცინით, და ვტირით.
გლეხმა ბატონი, ბატონმა ყმა, ყმამ მღვდელი, მღვდელმა ერი შეჭამაო და არ ვტირით—ვიცინით!
ბავშვი ცელქობს, თავ-პირს იმტვრევს, კისერს იტეხს, ფეხებს იღეწს—არც ბავშვი ბღავის, არც მამა ღრიალებს, არც დედა ჰკივის.
სულ ვიცინით, არ ვსტირით!!
„იწილეთა ბიწილეთა,
ფეხ-დამწვარი წიწილეთა.
თაგვი მაყრათ გაიყოლა,
კატა კვდება სიცილითა“!

კვიმატი.

წერილი რედაქციის მიმართ

ვინაიდან წერილი „ჩვენი მოთხოვნილებანი“ დ. კ—შვილისა, დაბეჭდილი „ცნობის ფურცლის“ მე-2764 ნომერში, ზოგიერთს ჩემ წერილად მიუღია და ამის შესახებ მეკითხებიან, ამით ვაცხადებ, რომ ზემოხსენებული წერილი მე არ მეკუთვნის, ჩემგან დაწერილი არ არის. ვსთხოვ პატივცემულ რედაქციასაც დამიდასტუროს ეს.*)

დავ. კლდიაშვილი

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

30 მარტი

ბერლინი, 29 მარტი. „დეილი-ნიუზ“-ს რომ ცნობა მოუვიდა ჩიკაგოდან, როჟესტვენსკისა და ტოგოს შორის ბრძოლა მოხდა და იაპონელებმა ხუთი გემი დაჰკარგესო, ჩინეთის საეჭვო წყაროებიდანაა მოსული, რომელსაც აქ არ უჯერებენ. „ლოკალ ანცაიგერ“-ის ცნობით, ლონდონისა და იაპონიის წრეებში ჰფიქრობენ, რომ ტოგოს ესკადრა მეთევზეთა კუნძულებთანაა ახლოსო.

სინგაპური, 29 მარტი. („დეილი მეილი“). ინგლისის აქაურმა მოხელეებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ შაბათს ჩავლილ ესკადრას შეადგენდნენ ჯავშნოსანნი „ალექსანდრე მესამე“, „ბოროდინო“, „თავადი სუვოროვი“, „ორიოლი“, „ოსლიაბია“, „ნავარინი“ და „სისოი ველიკი“.

ლონდონი, 29 მარტი. სინგაპურიდან ტელეგრაფით იუწყებიან, შაბათს მარტოკა „სისოი ველიკი“-მ ჩაიარაო. ესკადრაში „ცესარევიჩ“-ის ტიპის გემი არც ერთი არ იყო. პენანგიდან საჩქაროდ გაიწვიეს ბრიტანიის კრეისერი „ტეტის“-ი, რომელიც დღეს უკვე სინგაპურშია. ჰფიქრობენ, ის ბრიტანიის ესკადრას უცდის ჰონკონგიდანაო. ბატავიიდან იუწყებიან მუნტოკის ახლოს რუსების გემები არ არიანო. ტოკიოელი ცნობებით, უხერხულია რუსეთის ესკადრის ანამბის არხიპელაგთან დგომია. ესკადრა, ალბად, საფრანგეთის კონდორის კუნძულისაკენ წავა და იქ დროებით ბაზა ექმნება. მოხერხებულია გემის, კუნძულთა შორის, ღუზაზე დგომა.

მანილა, 29 მარტი. („დეილი-მეილი“). ავსტრალიიდან მოსული ბრიტანიის გემი „ემპაიერ“-ი იუწყება, რომ იაპონიის დიდი კრეისერი სდარაჯობს ბაზილონის სრუტეს, ბორნეოსა და მინდანაოს შუა.

ჯიბუთი, 29 მარტი (დეილ-მეილი). კუნძულ სოკოტრას ახლო შენიშნეს ბალტიის მესამე ესკადრა.

პარიზი, 20 მარტი. საზოგადოება დიდის გაფაციცებით ადევნებს თვალ-ყურს როჟესტვენსკის ესკადრის მოძრაობას. პრესა სცდილობს გამოიცნოს როჟესტვენსკის გეგმები.

პარიზი. ჩქარა პარიზში დაიწყება მოლაპარაკება რუსეთსა და საფრანგეთს შორის სავაჭრო შეთანხმების შესახებ. მოლაპარაკებას პეტერბურგში გააგრძელებენ.

სევასტოპოლი, 29 მარტი. იალტისკენ ჩაიარეს მაქსიმ გორკიმ და ლეონიდ ანდრეევმა.

ოდესა. უნივერსიტეტის სტუდენტებს შინ დასათხოვ ქაღალდებს აძლევენ 20 აგვისტომდე.

უფა, 29 მარტი. ოფიციალურად იუწყებიან, უფის გუბერნიის ექიმთა საზოგადოება 17 მარტის სხდომაზე წესდების წრეს გადავიდა, რისთვისაც პოლიციმეისტერმა დახურა სხდომაო.

პეტერბურგი, 29 მარტის სხდომაზე საგანგებო რჩევას ბჭობა ჰქონდა საგაზეთო კერძო დეპეშების ცენზურის შესახებ; აქ არ შეხებიან „პეტერბურგი“-სა და „რუსეთი“-ს დეპეშათა სააგენტოებს, რადგანაც მათი დირექტორ-გამკარგულებელნი, მილლერი და ტეპლოვი მონაწილეობას იღებდნენ კამათში. რჩევამ ხმის უმეტესობით გადასწყვიტა, გაუქმებულ იქმნას ეხლანდელი განხილვა დეპეშებისა განსაკუთრებულ ცენზორებისაგან, რომელთაც ბეჭდვითი საქმის მთავარი სამმართველო ნიშნავს და შემოღებულ იქმნას სიევ წინანდელი სადეპეშო დაწესებულების თვალ-ყურის გდება საერთაშორის სადეპეშო კონვენციის საფუძველით.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

30 მარტი

პეტერბურგი, ოფიციალური. წითელის ჯვრის რუსეთის საზოგადოების უავგუსტოესმა მფარველმა ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასულმა, ხელმწიფე იმპერატორის სურვილისამებრ უმოწყალესად უბოძა მთავარ სამმართველოს ყოფილ თავმჯდომარეს, ამ ჟამად მისის უდიდებულესობის ნამესტნიკს კავკასიაში, გენერალ-ადიუტანტ გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს წითელ ჯვრის ჯილდო.—29 მარტს მოვიდა ციმბირის სამხედრო-სასანიტარო მეორმოცე მატარებელი, რომელმაც 264 მეომარი მოიყვანა დაჭრილი და ავადმყოფი.—1904 წ. 6 თებერვალს გამოიცა უმაღლესი ნება სამხედრო ფლოტის გასაძლიერებლად ნებაყოფილობით შემოწირულებათა შემკრებ კომიტეტის დაარსების შესახებ. კომიტეტის მოქმედების პირველ წელს საერთოდ შეიკრიბა პროცენტებიანა 13,274,539 მანეთი და 95 კ. ამას გარდა დარჩა გაუყიდავი პროცენტიანი ქაღალდები დაახლოვებით 8500 მანეთისა. თანამედროვე მოთხოვნილებებში საომარი გემები ძლიერ ძვირია. მეტი გზა არ იყო, უნდა შეგვეძინა წყლის ქვეშ მცურავი ნავები და კრეისერები, რომელნიც, თუმცა უფრო პატარები იქმნებოდნენ, მაგრამ სამაგიეროდ, უფრო ჩქარა ივლიდნენ. ამ ჟამად კომიტეტი სანაღმო ფლოტს აკეთებს, რომელშიაც ჯერ-ჯერობით 18-მდე ერთ-ტიპიანი მსწრაფლ-მოსიარულე კრეისერი შედის და ეს ფლოტი არსებით ძალას შესძენს რუსეთის ფლოტს. ყველა ამ კრეისერებზე იმართება უმავთულო ტელეგრაფის აპარატი, საუკეთესო არტილერია და ნაღმები. მისმა უდიდებულესობამ ბრძანა, კრეისერთა პირველ სერიას შემდეგი სახელები დაერქვას: „ემირი ბუხარი“ს, „ვოისკოვოი“, „ფინი“, „სტავროპოლსკი“, „ტრუხმენეც“-ი, „კაზანეც“-ი, „მოსკვიტიანინ“-ი, „დობროვოლეც“-ი და „უკრაინა“. მზათ არიან შემდეგ ნაღმიანი კრეისერები: „უკრაინა“ და „ვოისკოვოი“. კრეისერები „სტავროპოლსკი“ და „ტრუხმენეც“-ი; 28 აპრილს იქმნებიან მზად: „ემირი ბუხარი“-სა, —1 მაისს „კაზანეც“-ი—28 მაისს და „ფინ“-ი ივნისის დასაწყისს. ზაფხულში დაამზადებენ „მასკვიტიან“-სა და „დობროვოლეც“-ს. ნაღმიან კრეისერების გარდა კომიტეტი შეუდგა წყლის ქვეშ მოსიარულე ნავების კეთებასაც, რომელთაგან პირველს დაერქმევა, შემწირველის სურვილისამებრ „ფელდმარშალი გრაფი შერემეტევი“. ეს ნავი მზადაა სრულიად და დაინიშნა კიდეც გასაგზავნად. ამ ჟამად ორი ნავი იქმნება გამოსაცდელი. ახალი შეკვეთა შემოწირულებათა შემოსვლაზე ჰკიდია.

პეტერბურგი. პირველს აპრილს მუშაობას შეუდგება საგანგებო სამხედრო კომისია, რომელმაც პორტ-არტურის გადაცემის მიზეზები უნდა გამოიკვლიოს. კომისიას პორტ-არტურის დამცველების გასამართლება კი არ აქ სახეში, მას სურს სრული და ჭეშმარიტი ფასი დასდოს იმ პირობებს, რა პირობებშიაც პორტ-არტურის ჩაბარება მოხდა. კომისიის თავმჯდომარედ დანიშნულია ინფანტ. გენ. როოპი, წევრებად—გენერლები რერბერგი, გრებენშჩიკოვი, კომაროვი, დემიანენკოვი, კრიაცნოვსკი და ბოგაევსკი, საზღვაო უწყებიდან—ადმირალები დუბასოვი და დიკოვი, სამხედრო სასამართლოდან კი გენერლები პლატონოვი და მიტროფანოვი. კომისიას სხდომები ექნება ალექსანდრეს სამხედრო-იურიდიულ აკადემიაში ხალხის დაუსწრებლად.

ვაშინგტონი. ამერიკის ტოკიოელი ელჩი იუწყება, იაპონელებმა დახურეს კილუნის ნავთსადგური ფორმოზაზე უცხო გემებისთვის, რადგანაც კილუნი ბაზად აირჩია ტოგომაო.

ჰონგკონგი. აქაური საზღვაო წრეები ჰფიქრობენ, რომ იაპონელები ბალტიის ესკადრის ახლო იმყოფებიან, მაგრამ არ შეებრძოლებიან, სანამ რუსის ესკადრა იაპონიას არ მიუახლოვდებაო. ინგლისის ესკადრა ყოველ შემთხვევისათვის ემზადება. ამერიკის ჯავშნიანი გემი „ვისკონსინი“ და 4 კონტრ-ნაღმიანი გემი მანილიაში მიდიან.

პარიზი. 25 მარტს ნორვეგიის გემი „გენრი ბოლკიავი“ დაიჭირეს.

პარიზი. საზღვაო ბიუჯეტის განხილვის დროს ადმირალმა კიუვერვილმა განაცხადა, თუმცა საფრანგეთს ომი არა ჰსურს, მაინც ყოველთვის მზად უნდა იყოს ომისათვისაო. ადმირალი იხსენიებს, რუსეთის იმპერატორი ჰააგის კონფერენციის უმალ საშინელ ომში გაება, შეიძლება საფრანგეთსაც ასეთივე საქმე დაემართოსო. ორატორი რჩევას იძლევა, თავდაპირველად უნდა ავაშენოთ საესკადრო ჯავშნიანი გემები, რომლებიც ზღვაზე ბატონობას უზრუნველ ჰყოფენ, ამას გარდა წყალქვეშ მავალ ნავების ფლოტილია უნდა გავაძლიეროთო. ჩვენმა მოკავშირეებმა ამ ომის დროს სასტიკი გამოცდილება მიიღეს,—სთქვა ორატორმა. პორტ-არტურში რუსის ფლოტი მანევრებში არ იყო გაწვრთნილი, როგორც სემის უბედურის შვილის ერთის უკანასკნელის წერილიდან სჩანს: ჩემი შვილი მწერდა: „ახ, ნეტავ ჩვენ მოკავშირეებს აქ ისეთი ადმირალი ჰყავდეთ, როგორიც ჟერვეა, ან ჟურნიე“. კიუვერვილმა ასე დაასრულა: „მეზღვაურებს თავგანწირულება უნდა ჰქონდეთ და ყოველ წამს მზად იყვნენ, სამშობლოსათვის თავი დასდვანო“ ორატორს გულმხურვალედ ტაში დაუკრეს.

პარიზი. პოლიციამ დილით კაპიტანი პოლპერი დაატუსაღა; პოლპერს სახელმწიფო უშიშროების დარღვევის განზრახვა ჰბრალდება. ბრალმდებელ ოქმში, რომელიც ამ საქმეზე რესპუბლიკის პროკურორმა შეადგინა, ნათქვამია, რომ ბრალდებულთ ერთმანეთთან შეთქმულობა შეადგინეს საფრანგეთის მთავრობის მოსასპობად, ან გამოსაცვლელადაო. ბრალდებულთ ოქმი დაფუძნებულია იმ საბუთზე, რომ შეთქმულებმა არმიის ოფიცრებს წინადადება მისცეს, შეთქმულობაში მონაწილეობა მიიღეთო.—„ინფორმასიონ“-ის სააგენტო ჰფიქრობს, რომ უმაღლეს სასამართლოს მოწვევა მინისტრების საბჭოს დადგენილებაზე იქნება დამოკიდებული, შადდის შემდეგ ტამბურინი რამდენსამე ოფიცერს დაუპირდაპირეს.

კანეია. ინგლისის კრეისერი „იუნო“ კანდიონიდან მოვიდა და დატუსაღებული მეამბოხენი მოიყვანა, იქ, სადაც დატუსაღებულნი ხმელეთზე გადაიყვანეს, დიდ-ძალი ხალხი შეიყარა და გულ-მხურვალედ მიესალმა დატუსაღებულთ. ხალხი უფრო აღელდა. იტალიის კანონირი გემი „მინერვა“ კუნძულს გარშემო უვლის, აჯანყებულთა ერთ-ერთი მეთაური დაატუსაღეს.

---

*) რედაქცია თავის მხრით ამოწმებს, რომ აღნიშნული წერილი დავით კლდიაშვილს არ ეკუთვნის. რედ.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადა

განცხადებანი

კარაპეტ ოდაბაშიანცის
ნავთის საწყობში იყიდება საუკეთესო ღირსების ნავთი იაფ-ფასად. იყიდება აგრეთვე
დაწმენდილი ბენზინი
გირვანქა 4 კაპეიკად
ნიკოლოზის და ნეკრასოვის ქუჩ. კუთხე 12, სავაჭრო სკოლის პირდაპირ. (1—1)



განცხადება
გვაქვს პატივი ვაცნობოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩვენ საზღვარ-გარეთიდან ეხლახან მივიღეთ აუარებელი საუკეთესო სისტემის
საკერავი მაშინები
ყოველივე თავის მოწყობილებით.
ფასი ძლიერ პირიანია
ხელ-მოკლე მუშტრებს საკერავ მაშინებს ვაძლევთ ნისიადაც, რომელთაც შეუძლიანთ წვრილ-წვრილად გადაიხადონ მაშინის საფასური. სიონის ქ. მაისურაძის და ხოჯაავარუხოვის ქარვასლა.
(15—6) პატივის-ცემით გ. ა. ლაზარევი და ძმანი ჯუმუხაძეები.

→ კბილებს ←
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ იმლოვნურ კბილებს და [illegible] ცუდ სუნს. გ. მოხოველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (30—26

საჭიროა კაცები
გაზეთების გასაყიდლად
მიხაილოვის პროსპექტი სახლი № 98, ფინკის კონდიტრის გვერდზედ. მსურველნი გამოცხადდნენ დილით 10 საათიდან შუადღის 12 საათამდე. (2—134—2).

კბილის ექიმი
ე. ი. ბალარჯიშვილი
იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7
მიხეილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (307—28—4)

ფეხსაცმელი
ს.-პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,
მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი, ქალისა, კაცისა და ბავშვისა,
აგრეთვე მსწრაფლ-მავალები და სანდალიები. ყველა ამის შეძენა შეიძლება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის სხვა ქალაქების საუკეთესო მაღაზიებში
ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО
С.ПЕТЕРБУРГЪ
გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ საფაბრიკო ნიშანს

ტყავის საქონელი
რუსეთსა და საზღვარ-გარეთ დამზადებული, მრავლად არის
სავაჭრო სახლის
„ლეოპოლდ ნეიშელლერ“-ის საწყობში.
ტელეფონი № 346. ერევნის მოედანი. (60—ნ.—10)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა
აცხადებს, რომ ამა წლის 5 აპრილისათვის დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომელზედაც იჯარით გაიცემა განცხადების გაკვრის საქმე ქალაქის საგანცხადებო ბოძებზე.
ბოძების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, 9 1/2-დან 2 1/2 ს. (3—2)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მათი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვით და წამლობით 1 მანეთიდან 3-მდე.



СѢДЕЛЬН.
СПЕЦІАЛЬН.
Безъ конкуренціи
продаются всевозможн. сѣдла.
მიხაილოვის პრ., სახლი აკოფოვისა, № 92, საზაფხულო სობრანიეს ახლოს. (წ—176—202)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.
პრეისკურანტი მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ.

Доз. ценз. Тифлисъ 30 Марта 1905 г. Электропеч. груз. изд. т-ва ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამხ—ბ.